რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 18 მაისი 1918 წ. 127

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 6 მ. 50 კ. ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორ ჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 99 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 99

შაბათს 18 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა

## ივლიტა დავით ბარნაბიშვილის ასულის ბასილიას

სულის მოსახსენებლად, რასაც დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მისი ვლადიმერი თეიმურაზის ძე ბასილია. წირვის შემდეგ პანაშვიდი გადახდილ იქნება წმ. ნინოს სასაფლაოზე შუადღის 12 საათზე.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ძმა ბარნაბა, და კატო ფარცვანიას სანაძის ასული, რძალი ეკატერინე, ძმის წულები: შურა, ჟორჟიკა, კარლოსი, თამარა და თინა სანაძეები, სიძეები: ალექსი ფარცვანია და პლატონ შალამბერიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობ-მოკეთეებს, რომ 15 მაისს თფილისის სადგურის ლიანდაგზე უცაბედათ მატარებლის ქვეშ მოჰყვა და გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

## ბუბულო (ბარბარე) მერაბის ასული სანაძისა,

რომლის ცხედარი რკინის გზის საავათმყოფოდან ქალაქ ხონში დანიშნულია შაბათს 18 მაისს საღამოს ხუთ საათზე. დაკრძალვა მოხდება მაცხოვრის ეკლესიაზედ საკუთარ ბინიდგან კვირას 19 მაისს, საღამოს 3 საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე. 2—1

## კვლავ მოლაპარაკების შესახებ

ბათუმში საზავო მოლაპარაკება უკვე დაიწყო. ოსმალეთისა და გერმანიის დელეგატებმა არ მოუცადეს ავსტრია-ბულგარიის წარმომადგენლებს და ისე გახსნეს სამშვიდობო სხდომა.

როგორც პირველ სხდომიდან გამოირკვა, ოსმალეთის დელეგატები ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობით აღარ კმაყოფილდებიან და ახალ მოთხოვნების წამოყენებას აპირებენ. ჩვენ არ ვიცით მოწინააღმდეგის მოთხოვნილება რა გვარ კონკრეტიულ ფორმაში იქნება ჩამოსხმული. მხოლოდ ერთი რამ აშკარაა: ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, მისი მთლიანი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა მეტის მეტათ პრობლემატიური ხდება. ეტყობა, გამარჯვებული სახელმწიფოები მძიმე პირობების წამოყენებას ფიქრობენ.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ თანამედროვე მსოფლიო ომი დიდი სახელმწიფოების სასარგებლოთ გათავდება და ბრძოლის ველიდან ის გამოვა გამარჯვებული, ვინც მეტი სამხედრო უპირატესობით იქნება აღჭურვილი. უკანასკნელ გარემოებას კი საფუძვლათ უძევს ეკონომიური და კულტურული განვითარების სიძლიერე.

კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა დიდიდან თავიანთ წარმოების აღორძინებისა მიზნით დაისახეს ახალი ტერიტორიების და ბაზრების შეძენა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ მრავალი ადგილები დაიპყრეს და მრავალი წვრილი ერები გაანადგურეს ან თავიანთ გავლენის ქვეშ დააყენეს. წვრილ და განუვითარებელ ერებს საშუალება არ ქონიათ მოზავებული კაპიტალისტური სახელმწიფოების იერიშები მოეგერებიათ და თავიანთი დამოუკიდებლობა და თავისუფალი არსებობა შეენარჩუნებიათ. ამათი ერთად-ერთი მოსარჩლე საერთაშორისო დემოკრატია—მუშათა კლასი იყო და უკანასკნელი მედგრათ ებრძოდა კაპიტალისტურ სახელმწიფოების ასეთ ტენდენციას. მაგრამ უკანასკნელიც იმდენათ ძლევამოსილი და ორგანიზაციულათ შეკავშირებული არ გამოდგა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების ასეთი ლტოლვილება შეეჩერებია. თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილების ხანაში კაპიტალისტები იმარჯვებენ და ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების შეძენის სურვილებს ანხორციელებენ.

არსებულ მსოფლიო ომშიაც დიდი სახელმწიფოების ისტორიული ტენდენციები ფაქტათ გადაიქცა და ცენტრალურ სახელმწიფოების კოალიცია ჯერჯერობით გამარჯვებული გამოვიდა.

მათი გამარჯვების გავლენამ ამიერ-კავკასიის საზღვრებამდის მოაღწია და მათ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბატონობას ვეღარ წაუვალთ. ჩვენ, როგორც პატარა ერს იმდენი ძალა და ღონე არ შეგვწევს, რომ საკუთარი საშუალებით საკმაო წინააღმდეგობა გაუწიოთ და მათ გავლენას თავი დავაღწიოთ. მაშინ, როცა დიდი სახელმწიფოები დაინგრეს და კაპიტალისტურ ქვეყნების გავლენას დაემორჩილნენ, რა უნდა ქნას სრულიად დასუსტებულმა და შინაურ უთანხმოებისაგან დაძაბუნებულმა ამიერ-კავკასიამ? ასეთ პირობებში დაუფიქრებელი და აჩქარებული მოქმედება უფრო მეტ საფრთხეში ჩაგვაგდებს და ჩვენ ფიზიკურ არსებობას უდიდეს განსაცდელს მოუმზადებს. ჯერ ისევ წარსულ საუკუნეს მეორმოცდა რვა წლებში კარლ მარქსი ამბობდა: წვრილი ერები, რომლებიც დიდ სახელმწიფოების შუაში სცხოვრობენ მათ პოლიტიკურ გავლენას ექვემდებარებიან. ამ ერების ნაციონალური თავისუფალი არსებობა მუდამ ხიფათშია და ადრე თუ გვიან ისინი დამოუკიდებლობას დაკარგავენ.

მართლაც ევროპის მრავალმა წვრილმა ერებმა ამ მსოფლიო ომში პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგეს და დიდი სახელმწიფოების მსხვერპლათ გახდნენ. სწორეთ ასეთივე ბედის წინაშე ვსდგავართ ამიერ კავკასიის სხვადასხვა ერები. გერმანიის გამარჯვებამ ოსმალეთს საშუალება მისცა ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი ადგილები დაეკავებია. ეჭვს გარეშეა, მოწინააღმდეგეს ასეთი გაბატონება ჩვენ ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლებას ყოველ მხრივ ემუქრება, მაგრამ რას ვიზამთ: ძალა აღმართს ხნავს. ფიზიკურ ძალის მოგერიება მხოლოდ ფიზიკური ძალის დაპირდაპირებით შეიძლება. და თუ ეს უკანასკნელი არ კმარა, დაგვრჩენია სხვა გზას მივმართოთ, სხვა პოლიტიკა ვიხმაროთ ფართო არსებობის შესანარჩუნებლათ.

ეს ერთად ერთი საშვალება ლაა ჩვენი ხალხის ფიზიკურ განადგურებიდან გადასარჩენათ. მით უმეტეს, რომ ოსმალეთის გვერდში სდგას განვითარებული გერმანია, რომელიც ჩვენს არსებობაში მრავალ მხრივ არის დაინტერესებული. საკუთარ იარაღზე საცსებით დაყრდნობა ამიერ-კავკასიის წვრილ ერებს—განსაკუთრებით სომეხ და ქართველებს სიკეთეს არ მოგვიტანს. მშვიდობიანი გზით მუშაობა და მშვიდობიანი მოლაპარაკების საშუალებით ჩვენი ხალხის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, ჩვენი დემოკრატიის მთავარი მიზანია და ამ გზით მუშაობა მართებს მას. ასეთია ჩვენი აწმყო ბედი, ჩვენი თანამედროვე მოქმედების გეგმა. და ასეთი პოლიტიკა უნდა აწარმოვონ ჩვენმა დელეგატებმა ბათუმის საზავო მოლაპარაკების დროს.

## ბოლშევიკების მუქარა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო გერმანისადმი რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობის მიმართვა ბათუმის საზავო მოლაპარაკების და ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ. ჩვენ არ გვაკვირვებს ის ტყუილები, რომლებითაც სავსეა ლენინ—ჯუღაშვილის მთავრობის ნოტა—მხოლოდ უპასუხისმგებლო დემაგოგებს შეეძლოთ ეთქვათ ოფიციალურ მიმართვაში: საქართველოში მრავალრიცხოვანი მიტინგები იმართება დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ამის გამო ბევრმა ქართველმა და სომეხმა დეპუტატმა სეიმს თავი დაანება, საერთოდ აღმოსავლეთი კავკასიის და კერძოთ ელიზავეტ-პოლის თათრები რუსეთის ჩამოშორებას მტრულათ შეხვდენო და სხვ. ბოლშევიკურმა მთავრობამ, დიდი ხანია, საკუთარ თავის პატივისცემა დაკარგა და ამიტომ არც კი მოეთხოვება მას ცოტათ თუ ბევრათ სწორი წარმოდგენა ქონდეს ამიერ-კავკასიის ცხოვრების შესახებ.

ჩვენ საქმის მეორე მხარეს ვაქცევთ ყურადღებას. გერმანიისადმი მიმართულ ნოტაში ბოლშევიკები აცხადებენ: უჩვენოთ დადებულ ხელშეკრულებას ჩვენ სავალდებულოთ ვერ ჩავთვლით, ბათუმის დელეგაციაში მონაწილეობას მიღება ჩვენც საჭიროთ მიგვაჩნია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენ ეგრეთ წოდებულ ამიერ კავკასიის მთავრობას ვცნობდეთო.

რას ნიშნავს ეს?

ცხადია, ჩვენ აშკარა მუქარასთან გვაქვს საქმე.

ბოლშევიკებმა კარგათ იციან, რომ მათი ასეთი მუქარა ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობას მოკლებულია, მათ ძალა არ შესწევთ, თორემ აქამდის ქვას ქვაზე არ დასტოვებდენ „კონტრ-რევოლიუციონურ" ამიერ-კავკასიაში.

არც იურიდიული საფუძველი აქვს მათს პროტესტს. ის ჩვენს წინააღმდეგ ომს არ აწარმოებს, რომ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობას ითხოვს, ის არც მოსაზღვრეა ჩვენი, რომ რაიმე ინტერესები აერთებდეს მას ჩვენთან. ასეთია ბოლშევიკურ რუსეთის საერთაშორისო განწყობილება ჩვენთან, მაგრამ ეტყობა ბოლშევიკები ასეთ რამეებს არ დაგიდევენ. მაშ რაზე ეყრდნობიან ისინი? იმაზე, რომ ჩვენ ერთის დროს რუსეთის ნაწილს შევადგენდით და ამიტომ ნებაც არა გვაქვს დამოუკიდებლათ ცხოვრების მოწყობისა. ბოლშევიკურ მთავრობას არ შერცხვა ღალატის, როცა ის ფრონტის გატიტვლებას შეუდგა და ოსმალთა ურდოების წინაშე დაგვაყენა. მან უბოდიშოთ დაუთმო ოსმალეთს ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ადგილები და ამ საარაკო ღალატის შემდეგ ჩვენგან კიდევ მორჩილებას მოითხოვს. მაგრამ, ვიმეორებთ, ბოლშევიკურ მთავრობის ნოტა-მუქარას დღეს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მან კარგათ იცის, რომ დღეს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას ის ვერ მოახერხებს. სამაგიეროთ ის მომავალში ფიქრობს ჩვენს დასჯას და ჭკუის სწავლებას. ეს გარემოება უაღრესად დამახასიათებელია ბოლშევიკურ მთავრობის სულისკვეთების: ეს მთავრობა აშკარათ აცხადებს, რომ მთელი ხალხის სურვილებს წინააღუდგება. ბოლშევიკურმა მთავრობამ დემოკრატიული სამოსელი უკუაგდო და უხეშ ძალის მიღმერთებლათ გამოდის. გაბოლშევიკებული მეზობლები—სოციალისტ რევოლიუციონერები „ზნამია ტრუდა"-ს ბანაკიდან და კადეტები წამდაუწუმ გვეკითხებიან: თუ თქვენ თვითგამორკვევის უფლებას ცნობთ, რათ ემებით სოხუმს და ბაქოსო.

ჩვენ სიამოვნებას არ ვგრძნობთ სოხუმის და ბაქოს წინააღმდეგ გალაშქრებაში, მაგრამ როგორ შეგვიძლია ცალკე ქალაქების და ცალკე უბნების დამოუკიდებლათ გამოცხადებას არ შევებრძოლოთ. თუმცა ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ღირსეულათ მოვიხადეთ ჩვენი დემოკრატიული ვალი: ჩვენ საქმის მორიგებით გათავება ვარჩიეთ და დელეგაციაც კი გავუგზავნეთ მოსალაპარაკებლათ, მაგრამ ბ-ნმა სტეფანე შაუმიანმა ლაპარაკის ღირსათაც არა გვცნო.

ამიერ-კავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მისი დამოუკიდებლობა მთელმა ხალხმა სცნო სეიმის საშუალებით და ამიტომ ჩვენს მთავრობას ნება არ აქვს დამოუკიდებლობის საქმეზე არ იზრუნოს. ამ დამოუკიდებლობის ყველა მოწინააღმდეგეს სასტიკათ უნდა შევებრძოლოთ. თავდაპირველათ შინაურ ბოლშევიკების ალაგმვას უნდა შევუდგეთ და შემდეგისათვის მუდამ მზათ უნდა ვიყოთ, რომ ჩრდილოეთიდან თავს არ დაგვეცხან ბოლშევიკების სახით ვიგომდა კონტრ-რევოლიუციის ჩასაქრობათ.

კარგი იქნებოდა ეს გარემოება სახეში მიეღო ადგილობრივ სოციალისტ-რევოლიუციონერთა ერთ ნაწილს, რომელიც ვითომდა სოციალიზმის სახელით ყოველ ფეხის გადადგმაზე იბრძვის ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადების წინააღმდეგ.

მოყვარე გაჭირვების დროს იცნობა და ვინც ამ კრიტიკულ ჟამს გვებრძვის, ის სოციალისტის და დემოკრატის სახელს უნდა გამოეთხოვოს.

## პრესა

ნაციონალ დემოკრატები შეუდგნენ საქართველოს ეკლესიის მომავალ წყობილების გარკვევას. ჩვენი შეხედულებით ეკლესია სახელმწიფოს უნდა ჩამოშორდეს, რადგან სარწმუნოება ადამიანის კერძო საქმეა, სახელმწიფოებრივი ეკლესია კი ისეთს ორგანიზაციას გულისხმობს, რომელიც ძალდატანებითი ელემენტით ხასიათდება. ეროვნულ-დემოკრატებს ჩვენი ასეთი შეხედულება, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს. „საქართველოს" ფურცლებზე ვინმე ი.—ი. იწუნებს სოციალდემოკრატიის პოლიტიკას და თავის შეხედულებებს ასე ასაბუთებს:

„საქართველოს ეკლესია არ წარმოადგენს რუსეთის სინოდალურ ეკლესიის ტიპის „უწყების დაწესებულებას". „საქართველოს ეკლესია არის აგებული ნამდვილ ხალხოსნურ ნიადაგზე, ეკლესიის მართვა-გამგეობა დემოკრატიულათაა მოწყობილი". და სამტკიცებლათ მას მოჰყავს დებულების მეოთხე მუხლი: „საქართველოს ეკლესიას განაგებს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც შეადგენს ეკლესიის სრულ წლოვან წევრთა წარმომადგენლები, განურჩევლათ სქესისა, თანამდებობისა და ხარისხისა".

„საქართველოს" თანამშრომელი გულუბრყვილოთ ფიქრობს, ან ცდილობს სხვები ფიქრობდენ, რომ წესდების აღნიშნულ მუხლს რაიმე მნიშვნელობა აქვს. რევოლიუციის ხანაში, როცა საქართველოს ეკლესია რუსეთის ბიუროკრატიულ სინოდს ებრძოდა, სხვა გვარ წესდებას ის ვერ შეიმუშავებდა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მისი ბუნების შეცვლას. მარტო საქართველოს ეკლესია ხომ ვერ მოახდენს სასწაულს. ისტორიამ არ იცის ქვეყანა, რომლის ეკლესია გაბატონებულ კლასების ყურმოჭრილი მონა არ ყოფილიყოს. ასეთი იქნება ეკლესია ჩვენშიაც, თუ ის სახელმწიფოს არ ჩამოშორდა და კერძო ორგანიზაციათ არ იქნა აღიარებული. ვიმეორებთ: სარწმუნოება თავისუფალი უნდა იყოს და ამიტომ ის არავითარ ძალდატანებით ორგანიზაციას არ საჭიროებს.

## პატარა ერების ბედი

ჩვენ ვიცოდით თეორეტიულათ, რომ თანამედროვე იმპერიალიზმი ვერ ურიგდება პატარა ერების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცხოვრებას და იძულებულს ხდის რომელიმე დიდ სახელმწიფოს ზე ფაროს თავი. ამ მსოფლიო ომის დროს ეს ჭეშმარიტება პრაქტიკულათ დამტკიცდა. თითქმის ყველა პატარა ერი ჩათრეული იქნა მსოფლიო ომში და უმთავრესათ ისინი ინგლისის კოალციას მიემხრნენ. დღეს უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ეს ერები გასრესილ იქნენ, ან იძულებულნი შეიქნენ გერმანიის კოალიციისთვის შეეფარებიათ თავი. თუ რომელიმე პატარა ერი ფიქრობს დღეს, რომ მას შეუძლიან თავისი ძალღონით ომის ლოღიკური მსვლელობა შესცვალოს, ის დიდად შეცდება. შეიძლება ბოლოს ეს ომი გათავდეს ინგლის-გერმანიის შეთანხმებით და პატარა ერების ახალი განაწილებით. ამ შემთხვევაშიც პატარა ერებს არაფერს კითხავენ. თუ ომი გაგრძელდა, შეიძლება ის დამთავრდეს საერთო მსოფლიო კატასტროფით და ცხოვრების სულ ახალი ხანის დაწყებით. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევის მოლოდინში, პატარა ერებმა არ უნდა დასდვას თავისი არსებობის კითხვა იმპერიალისტების სამსხვერპლოზე. პატარა ერების ტაქტიკა დღეს ერთი უნდა იყოს, მიიღოს ყოველივე ზომები, რომ ომიდან გამოვიდეს და არ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს, რომ ფიზიკურათ გადარჩეს. ძველ დროში პატარა ერები უფრო ადვილათ აღწევდენ თავს უცხოელების შემოსევას. ძველათ უცხო სახელმწიფოების ხელში არ იყო ისეთი გამანადგურებელი იარაღები, რომელიც მათ დღეს მოეპოვებათ და ისეთი სურვილი თავისი ბატონობის განმტკიცების, რომელიც დღეს ასულდგმულებთ მათ. ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ პატარა ერებს დღეს შეუძლიათ ომი აწარმოონ რომელიმე კოალიციის დახმარებით, ან ინგლისის, ან გერმანიის მეთაურობით. ორივე შემთხვევაში ისინი დაკარგავენ თავიანთ უმთავრეს განძს, ფიზიკურ არსებობას და მსხვერპლათ შეეწირებიან დიდ სახელმწიფოების მადას. ასეთ პირობებში კი სულ ზედმეტია ლაპარაკი სოციალურ იდეალების განხორციელებაზე. კითხვა სდგება თვით ერის ყოფნა არყოფნაზე. ხალხი უნდა არსებობდეს, რომ თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური წყობილება დაიარსოს. მისი არსებობის შერჩენა კი მოითხოვს ომიდან გამოსვლას, თუნდაც ამისთვის მას დიდი დათმობა დასჭირდეს.

ბ. თეძლათელი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მარტოვის სიტყვა.**

„ვპერიოდ"-ში მოთავსებულია ამხ. მარტოვის სიტყვის მოკლე ანგარიში, რომელიც მას წარმოუთქვამს 29 აპრილს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ლენინის სიტყვის საპასუხოთ (ლენინის სიტყვა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო მოთავსებული). მარტოვი ამბობს: გამოქვეყნებულ დებულებათა დღევანდელი დამატებანი ლენინისა შინაურ უთანხმოებას ეხებიან. ჩემი სახელი ლენინმა მილიუკოვის სახელს დაუკავშირა, მაგრამ როგორც სჩანს, ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ მე შევერცხვინე, არამედ—იმიტომ, რომ მილიუკოვი აღემატება, რომ დაენახვებია ყველასათვის, თუ როგორი არიან ის კადეტები, რომელთა მოყიდვა რამდენიმე ათი ათასი მანეთით შეიძლება. მაგრამ ამავე ბლოკში ლენინს შეეძლო მოეთავსებია მოქ. რადეკიც, კარელინიც, ვინაიდან მათაც მეიღეს წვრილ ბურჟუაზიული მირონცხება. ასე რომ, ჩვენ მივიღებთ მილიუკოვ-რადეკის ბლოკს. რაც შეეხება ჩვენს დამოუკიდებლობას უკრაინის რადისადმი, აქ ლენინს მეხსიერება ღალატობს. ვსარგებლობ შემთხვევით, და ვიმეორებ ერთხელ კიდევ, რომ ჩვენი პარტია არავითარ კავშირში არ ყოფილა ეგრეთ წოდებულ უკრაინის სოც.-დემოკრატიასთან. პირიქით, ვინიჩენკომ, ვინიცკიმ და სხვებმა სრული სოლიდარობა განუცხადეს ბოლშევიკებს ძალა-უფლების საკითხში. ლენინის სიტყვაში გამოსჭვივის ორი აზრის ბრძოლა, რომელიც შეიცავს ბოლშევიკ—დონკიხოტს და სანჩო-პანჩოს, და ნ. კიხოტი მრისხანე ნოტას უგზავნის ნულანსის (საფრანგეთის ელჩია) გაწვევის შესახებ. სანჩო-პანჩო კი ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს გაიძვერობაზე სწერს, რომლის დასახელებას ვერ ბედავს. ჩვენ შეგვეძლო მივსალმებოდით ლენინის სიტყვას, რომ დამნგრევ მუშაობას უნდა მოყვეს აღმშენლობითი, შემოქმედებითი მუშაობა, მაგრამ ჩვენ უნდა გავაკრიტიკოთ ის პროგრამმა, რომელსაც ლენინათ აქვს დასახული მუშათა კლასში ჭეშმარიტი კლასიური შეგნება-აღზრდის შეტანის ნაცვლად, ფუჭი შენიშვნები, რომლებიც არასოდეს არ იქნებიან საგულისხმიერო ხალხის ფართო მასსისთვის თუ გინდ ისინი ოქროს ასოებით მოიქარგოს დროშაზე. ლენინმა სთქვა: არ არის სოციალიზმი უკანტროლოთო, მაგრამ საყოველთაო კანტროლ-ანგარიში გულისხმობს განსაზღვრულ პირობებს. როდესაც ლენინი ფიქრობს, რომ ის შესძლებს მოაწყოს საყოველთაო კანტროლი და ანგარიში მილიონობით არსებულ მეურნეობებზე, რასაც მოყვება ბურჟუას გაძლიერება—ეს წმინდა წყლის უტოპიაა.

ლენინი ლაპარაკობს პროლეტარიატის დიქტატურაზე, მაგრამ ისტორიის გამოცდილება ჩვენ გვეუბნება: ვიდრე კლასის დიქტატურა არ მომწიფებულა, დიქტატორი თავისი სურვილის წინააღმდეგ ხდება სხვა კლასების ინტერესთა დამცველ დიქტატორათ. ასე მოუვიდათ იული ცეზარს, ნაპოლეონ მეორეს. (ადგილიდან: კერენსკი?) ასევე მოუვიდოდა კერენსკისაც. როგორც დიქტატორი, ის კორნილოვის სასარგებლოთ იმუშავებდა. პროლეტარიატი, რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ მომწიფებულა სოციალისტური პირობები, მთავრობაში არ არის. ძალა-უფლება წვრილი მესაკუთრის ხელშია, რომლის შესახებაც ლენინმა სთქვა, რომ ის წვრილი ბურჟუა გახდება.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

16 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ს. ჩხეიძე.

მიმდინარე საქმეების განცხადების შემდეგ თავმჯდომარე გადადის დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაზე.

განსახილველია: დაარსება ამიერ-კავკასიის ისტორიული კომისიის.

ნოე ჟორდანია აკეთებს მოხსენებას და ამბობს, რომ არსებობს კომისია, რომელიც აგროვებს და გამოსცემს ყოველივე მასალებს 1914 წ. ომის შესახებ. ეხლა გადაწყვეტილია სამხედრო სამინისტროში შედგენა ისეთი კომისიის, რომელიც მოაგროვებს ყველა მასალებს ომის შესახებ, შეადგენს მონოგრაფიებს და სხვ. ამ კომისიის კანცელარიის შესანახად საჭიროა 6,305 მ.

სეიმის წევრს გ. გვაზავას (ნაც. დ.) შემოაქვს შეკითხვა—რომელ ენაზე უნდა დაიწეროს ომის ისტორია და რატომ ამიერ-კავკასიამ უნდა გასწიოს ასეთი დიდი და რთული შრომა, როცა ეს რუსეთის საქმეა.

სეიმის წევრი ტიგრანიანი (დაშნაკ.) აღნიშნავს, რომ ომის შესწავლა არის მეცნიერების საქმე და არა განსაკუთრებით ამისთვის მთავრობის მიერ დაარსებული კომისიის. გამოდის რა ამ მოსაზრებიდან ორატორი, მოითხოვს აღნიშნული თანხა გადაეცეს სამეცნიერო საზოგადოებას, რომელიც შეუდგება ხსენებულ საკითხის შესწავლას.

ნ. ჟორდანია ამბობს, რომ კომისია დიდი ხანია მუშაობს, ახლა კი განსაკუთრებული სიჩქარეა საჭირო, რომ დროზე იქნას მასალები შეგროვილი, ვინაიდან მას აქვს კავშირი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობასთან, აგრეთვე შეიძლება ბევრი ძვირფასი მასალები დაიკარგოს რაც შეეხება ენას, მასალები ისტორიისათვის დაიწერება რუსულ ენაზე, ვინაიდან ამ ენაზეა დაწერილია ყველა საბუთები. საჭიროა გვქონდეს კარგი ისტორია და მერე შეიძლება რომელ ენაზე გინდა იმაზე გადათარგმნო. ტიგრანიანის საპასუხოთ მომხსენებელი ამბობს, რომ კომისიას საშვალება ეძლევა მოიწვიოს ყველა კომპეტენტიური პირნი, რომელნიც მოისურვებენ მუშაობას ამ საგანზე. სეიმი კანონ-პროექტს ამტკიცებს.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. ზურაბოვი აღნიშნავს, რომ თავდაცვის შტაბი დაარსებული იყო ანარქიასთან საბრძოლველად ქალაქში და სეიმს უდგენს კანონპროექტს 212,720 მანეთის კრედიტის გახსნის შესახებ ხსენებული შტაბის შესანახათ. სეიმი კანონპროექტს [illegible] ამტკიცებს.

ნ. ს. ჩხეიძე აქვეყნებს შეკითხვას სოც.-რევოლიუციონერების ფრაქციისას, რომელიც ხელმოწერილია ბერიოზოვის, თუმანოვის და თარხანოვის მიერ სამხედრო მინისტრისადმი ინტერნაციონალური სოციალისტური ბატარეის დაშლის შესახებ. სეიმის წევრი თუმანოვი აღნიშნავს ხსენებულ ბატარეიის დაარსებას და ამბობს, რომ თებერვალში სოციალისტური პარტიების წინადადებით შესდგა ინტერნაციონალური, სოციალისტური ბატარეა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მხოლოდ ს.-დემოკრატების და სოც. რევოლიუციონერების წარმომადგენლები, ბატარეის სათავეში იდგა ს. რევ. ჩიკალინი. ბატარეიას ქონდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ამ დროს გამოიცა ბრძანება მის დაშლის შესახებ. ვსცნობთ რა საჭიროთ თავდაცვისათვის საშვალებების არსებობას, თუმანოვი წინადადებას აძლევს სამხედრო მანისტრს მისცეს განმარტება ბატარეის დაშლის გამო, მით უმეტეს, ეს მოხდა სრულიათ მოულოდნელათ.

გრ. გეორგაძე. სამხედრო მინისტრი, უპასუხებს შეკითხვაზე და ამბობს, რომ მთავრობა ძლიერ დაინტერესებულია თავდაცვისათვის საომარი ძალის შექმნით, ამიტომ ის არ გადადგამდა ასეთ ნაბიჯს, რომ შესაფერი საფუძველი არ ქონოდა. ბატარეა ერთი კორპუსიდან მეორეში თავისუფლათ გადადიოდა და არ ემორჩილებოდა არამც თუ მთავრობის განკარგულებას, არამედ—თავის პირდაპირი უფროსების განკარგულებასაც. ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ ბატარეიამ დაიჭირა განსაკუთრებული პოზიცია. 13 აპრილს მას გამოაქვს რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი კონტრრევოლიუციონურია და მის განკარგულებებს არ დაემორჩილება, შემდეგ მიღებული იყო ცნობები, რომ თუ მოეწყო მთავრობის წინაამდეგ გამოსვლები, ბატარეია მთავრობის მტრებს ამოუდგება გვერდში. მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში, მთავრობამ 17 აპრილს გამოსცა განკარგულება ბატარეის დაშლის და იარაღის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტზე გადაცემის შესახებ. სანამდის მთავრობა თავის პოსტზე დგას, ის აშკარათ შეებრძოლება ყოველგვარ გამოსვლას ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის წინაამდეგ.

თუმანოვს წამოყენებული საბუთები არ აკმაყოფილებს და ამბობს, რომ თუ სეიმი სდგას თავდაცვის საჭიროების თვალსაზრისზე, მან აუცილებლად უნდა გააუქმოს ბატარეის დაშლის შესახებ გამოცემული განკარგულება.

გ. გვაზავა. ამტკიცებს, რომ შეკითხვა იყო შემოტანილი არა სიმართლის აღსადგენათ, არამედ იმ მოსაზრებით, რომელსაც სი[illegible] მართლის აღდგენასთან არავითარი კავშირი არ აქვთ. ბატარეია არ დაემორჩილა სამხედრო მინისტრს, ხალხის მიერ უფლებით აღჭურვილს და ის აუცილებლად უნდა დაეშალათ.

სამხედრო მინისტრი მეორეჯერ გამოდის და აცხადებს, რომ ის იძულებულია სთქვას ის, რის თქმა მას არ სურდოდა. ის ნაწილი სოც.-რევოლიუციონერების პარტიისა, რომელმაც შეკითხვა შემოიტანა, აშკარათ გამოდის სეიმის და მის მთავრობის წინააღმდეგ, ხალხს მოუწოდებს მთავრობის ჩამოსაგდებათ. ამ ჯგუფმა დაიწყო ძებნა ძალების, რომელზედაც მას შეეძლო დაყრდნობა. ამ მიზნის განსახორციელებლად ისინი არავითარ საშუალებას არ ერიდებიან. 11 აპრილს მერხალიევმა (ს. რ.) აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ უკვე გამოცემულია ბრძანება ბატარეის დაშლის შესახებ. ეს განცხადება გამოგონილი იყო, მაგრამ მან ამით თავისი საქმე გააკეთა. ბატარეია აღელდა და გამოიტანა რეზოლიუცია არ დაემორჩილოს მთავრობის განკარგულებებს. აი ასეთ პირობებში მთავრობა მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო.

თარხანოვი (ს.-რ.) ამბობს: ისტორია დაამტკიცებს, აქ აქვს თუ არა მთავრობის ჩამოგდებაზე შეთქმულებას ადგილი. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ ბატარეის დაშლა უსამართლობაა და მიზან შეუწონელი იმ დროს, როცა შეიძლება ახალი ომის წინაშე დავდგეთ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი ამბობს, რომ თუ ერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი განკარგულების შეუსრულებლობისა, ბატარეია აუცილებლათ უნდა დაშლილიყო. ამ კითხვას აქვს პოლიტიკური ხასიათი. ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ განსაკუთრებულ კამპანიას აწარმოებენ არა თუ ბოლშევიკები, არამედ ს.-რევოლიუციონერების ერთი ჯგუფიც. დადგა დრო, როცა უნდა ვსთქვათ, რომ იყო მზადება ამიერ-კავკასიის დემოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგ და ამაში მონაწილეობას ღებულობდა ზოგიერთი ნაციონალური ნაწილებიც. არ ვიცით, გამოვიდოდენ თუ არა ეს ნაწილები, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ისინი გონს მოსულიყვნენ და ეს არ ჩაედინათ, მაგრამ მზადება იყო. როგორ უნდა მოქცეულიყო მთავრობა, რომელიც პასუხის მგებელია ხალხის და სეიმის წინაშე? მან მიიღო გამაფრთხილებელი ზომები, და ერთი ასეთი ზომათაგანი იყო ბატარეის დაშლა. არა თუ ერთ ბატარეის წინააღმდეგ, მთელს კორპუსის წინააღმდეგ იქნება ასეთი ზომა მიღებული, თუ ის დაემუქრება ამიერ კავკასიის კეთილდღეობას და დამოუკიდებლობას. სხვანაირად პასუხისმგებელ მთავრობას არ შეუძლია მოიქცეს. (ტაში).

ბ. თევზაიას სიტყვის შემდეგ, რომელიც მთავრობის ნაბიჯებს ამართლებს, თავის სიტყვაში, ცხარე პასუხს აძლევს მინისტრებს, ბერიოზოვი (ს. რ.). უკანასკნელი ამტკიცებს, რომ არავითარი საწინააღმდეგო შეთქმულებას ადგილი არ ქონდა არც ბატარეის და არც ს. რ. ჯგუფის მხრით. სეიმის წევრი ლორთქიფანიძე (ს. რ.) უპასუხებს ს. რევოლიუციონერთა პარტიისაგან გამოყოფილ ჯგუფს. ის უყენებს ჯგუფს ბრალდებას, რომ ისინი აწარმოებდენ რა თავის პოლიტიკას, წინასწარ მოსაზრებით ავრცელებდენ ცრუ ხმებს, რომ შეექმნათ განსაკუთრებული ატმოსფერა და ამით ესარგებლნათ. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამ ჯგუფმა გაავრცელა ხმა, რომ წითელი გვარდია ნოე ჟორდანიასი, წერეთლის, და გეგეჭკორის მეთაურობით წინააღმდეგია დამოუკიდებლობის და მოუწოდებენ მთავრობის წინააღმდეგო.

თუმანოვი წინადადებას აძლევს ლორთქიფანიძეს, დაუმტკიცოს მას წამოყენებული ბრალდება, რომელიმე სასამართლოში. მორიგ საქმეზე გადასვლის ფორმულა, რომლითაც მოწონებულია მთავრობის ნაბიჯები მიღებულ იქნა 7 ხმის წინააღმდეგ.

ბ. თევზაიას მოხსენების შემდეგ სეიმი ამტკიცებს კანონ-პროექტს, მზრუნველობის სამინისტროს გადაეცეს ლაზარეთების შესანახათ 497,940 მ.

ა.—ხანი.

# საქართველოს ეროვნული საბჭო

(16 მაისის სხდომა).

თავმჯდომარეობს გ. ლასხიშვილი.

თავმჯდომარე. დღევანდელი კრების მიზანია წინა კრების კამათის გაგრძელება საქართველოს კონსტიტუციის შესახებ. ჩაწერილია 7 ორატორი.

რ. გაბაშვილი. გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, კრებას ინფორმაცია გაუზიაროთ, იქნებ კამათი სულ არ დაგვჭირდეს.

თავმჯდომარე: ამ კრების წინ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ქონდა სხდომა იმის შესახებ, თუ როგორ დავაბოლოვოთ კამათი კონსტიტუციის შესახებ. კომიტეტმა მიიღო რა მხედველობაში, რომ ამ ორ დღეში საზავო მოლაპარაკებამ სულ სხვა ხასიათი მიიღო და პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, დაადგინა: დღეს კონსტიტუციის შესახებ [illegible] [illegible] [illegible] უცია არ იქნას გამოტანილი. ეროვნული საბჭო გზავნის შექმნილ მდგომარეობისა გამო თავის წარმომადგენელს ბათუმში და მის დაბრუნების შემდეგ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს საკონსტიტუციო კომისიას.

ს. ფედერალისტების ფრაქციას წინადადება შემოაქვს კრება 10 წუთით შეწყვეტილ იქნას, რომ ფრაქციას საშუალება მიეცეს გაერკვეს მდგომარეობაში. ამ განცხადებას უერთდებიან ეროვნულ დემოკრატებიც.

კრება 15 წუთით წყდება.

ფრაქციის თათბირმა 30 წუთი გასტანა.

ნახევარ საათის შემდეგ ისევ იხსნება კრება.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს ფრაქციებს განაცხადონ თათბირის შედეგი.

ონიაშვილი სოც.-დემოკრატების სახელით აცხადებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის შესახებ ჩვენ მოვისმინეთ ყველა ფრაქციების პროექტები, მაგრამ შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო შესაძლებელია დღევანდელს ჩვენს კამათს არავითარი მნიშვნელობა არ ექნეს, ამიტომ ჩვენი ფრაქცია მოითხოვს ამ საკითხის შესახებ შეწყვეტილ იქნას კამათი და მისი გადაწყვეტა მიენდოს კომისიას, რომელიც საკითხს გადასჭრის პოლიტიკური მდგომარეობასთან შედარებით.

ონიაშვილის განცხადებას სწორედ იმავ მოსაზრებით უერთდებიან ს.-ფედერალისტები, ს.-რევოლიუციონერები და „ალიონის“ ჯგუფი.

ვეშაპელი ეროვ.-დემოკრატების სახელით მოითხოვს კამათის გაგრძელებას. ხმის დიდი უმეტესობით კამათი წყდება. კონსტიტუციის შემუშავება ევალება არსებულ საკონსტიტუციო კომისიას.

ანხანი.

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

16 მაისი.

ბერლინი. დასავლეთი ფრონტი. კემმელის მიდამოებში ჩვენ წამოვიყვანეთ 120 ტყვე. აქ ფრანგებს დიდი ზარალი მოუვიდათ. კემმელის რაიონში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. დღეს დილით შეტევა დაიწყო ქვეითმა ჯარებმაც.

17 მაისი.

ლონდონი. მტერმა იერიში მიიტანა ჩვენზე მორლანკის სამხრეთ-დასავლეთით და ერთ ალაგს დაიკავა ჩვენი პოზიციები. კონტრ-იერიშით მტერი გავრეკეთ. ცუდი ამინდების გამო საფრანგეთის ფრონტზე არავითარი სამხედრო მოქმედება არ ყოფილა.

რომი. მონტე [illegible] ნოზე მტრის მიერ მოტანილი იერიშები მტრისთვის უშედეგოთ დამთავრდა. მტრის 11 აეროპლანი ჩამოვაგდეთ.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. ფრონტზე სუსტი საარტილერიო სროლაა. იორდანის აღმოსავლეთ ნაპირზე ჩვენ გავფანტეთ მტრის მზვერავი რაზმები.

მესოპოტამიის ფრონტი. მტრის ჯავშნიანი ავტომობილების შემოტევა ჩვენი არტილერიით მოვიგერიეთ.

კავკასიის ფრონტიდან არავითარი ცნობა არ არის.

# კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა).

16 მაისი.

შავი ზღვის პირის რაიონში დროებით შერიგება არ დარღვეულა. ალექსანდროპოლში ოსმალები შემოდიან. მოთხოვნა წამოაყენეს, რომ მათ გადაეცეს ციხის მთელი იარაღი, რკინის გზის მთელი მოწყობილობა. ჩვენი ჯარები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოდიან.

ახალქალაქის ჩრდილო დასავლეთ რაიონში მუსულმანებმა შემოტევა დაიწყეს სარო და ხიზაბავარის შეიარაღებულ მცხოვრებთა წინააღმდეგ. საღამოთი მუსულმანები გარეკილ იქნენ დაკავებულ მაღლობებიდან. მათ დაიხიეს სოფ. ხერთვისისკენ. დასტოვეს 50 დაჭრილი.

# ახალი ამბები

კოდორიდან ვალ. ჯუღელისაგან თფილისის წითელი გვარდიის შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო გუშინ: „დღეს დილის 4 საათსა 10 წუთზე ღამით ბრძოლის შემდეგ ჩვენმა რაზმმა იერიში მიიტანა კოდორის ხიდზე. ჩვენ მოგვიკლეს 1, დაგვჭრეს 10. მოწინააღმდეგემ დასტოვა 3 ზარბაზანი, 5 ტყვიის მფრქვეველი, 100 მეტი „ვინტოვკა“, 100-ზე მეტი ტყვეც წამოვიყვანეთ—ჩვენი რაზმი წინსვლას განაგრძობს“.

ახალქალაქის რაიონის (ქართლში) შესახებ ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, თითქოს იქ ახალი მთავრობა შეედგინოთ და „დამოუკიდებლობა“ გამოეცხადებინოთ. სარწმუნო წყაროებიდან შემდეგი ვიცით: ბრბომ მართლა სცადა იქაური ადმინისტრაციის გადაყენება და თავისი კაცების დაყენება, მაგრამ წითელმა გვარდიამ შეიარაღებულ ბრბოს იარაღი აჰყარა და წესიერება აღადგინა.

ხროლა. 16 მაისს, დაახლოვებით საღამოს 11 საათზე, ბარიატინსკის ქუჩის კუთხეში, არამიანცის სახლის წინ, დიდძალი ხალხი იყო თავმოყრილი. მათთან მივიდა მილიციონერი და სთხოვა ხალხს დაშლილიყო. ამ [illegible] სროლა. მილიციონერებმა ჰაერში სროლა ასტეხეს, რასაც მოჰყვა სროლა ყოველის მხრიდან. ხალხი მალე დაიშალა და წესიერებაც აღდგენილ იქნა.

გზათა მიმოსვლის სამინისტრომ სთხოვა მთავრობას საჩქაროდ გადასდოს ფული სამინისტრო ხარჯების გასაძღოლად: სამინისტროსთვის საკუთრივ—4475 მან., მოსამსახურეთა ჯამაგირისთვის 34,475 მან., ბინის ქირისთვის—3000 მან., დღიური ჯილდოს გასაცემად 3000 მ. და 30,000 მან. საჭირო ინვენტარის შესაძენათ და ბინის მოსაწყობათ.

ბათუმში გაემგზავრენ გუშინ ნოე ჟორდანია, ჯაფაროვი, ხან-ხოისკი და ხასმამედოვი.

სამუსიკო მოღვაწეთა, დამკვრელთა და მომღერალთა ყრილობა დანიშნულია კვირას 19 მაისს დილის ათ საათიდან ქართული კლუბის დარბაზში. უნდა მოეწყოს ეროვნულ საბჭოსთან არსებული ხელოვნების სექციის სამუსიკო განყოფილება.. ყრილობის დასასრულ გაიმართება ქართულ მარსელიეზის და ეროვნული ჰიმნის რეპეტიცია. მოხსენებას წაიკითხავს და რეპეტიციას გამართავს კ. ფოცხვერაშვილი.

შალი. ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს დიდძალი იმერული შალი აქვს გასაყიდი ხელმისაწვდენ ფასებში. კავშირი ღიაა დილის 9 საათიდან ნაშვადღევის 3 საათამდე. (მიხეილის პროსპექტი № 178).

ვერის მუშათა კლუბში. დღეს, 18 მაისს, (უდელის ქ. № 3) გაიმართება წარმოდგენა და სალიტერატურო განყოფილება. წარმოდგენილი იქნება ვოდ. 2 მოქ. „ადვოკატი მელაძე“.

მიწათმოქმედების სამინისტრომ უფლება მისცა საადგილ მამულო კომიტეტებს დაუტოვოთ მონასტრებს და ეკლესიებს ნორმის ფარგალში მიწები, რომ მათ საშუალება ქონდეთ საკუთარი მეურნეობა აწარმოვონ. სამინისტრო განმარტავს, რომ საზოგადო ხასიათის მიწები (კოლონიები მცირე წლოვანთათათვის, სკოლების მიწები და საბალახოები არ უნდა იქნას ჩამორთმეული.

საგუბერნიო კომიტეტი ლტოლვილთა მზრუნველობის ქუთაისის გუბერნიის და ბათუმის ოლქისა სთხოვს ამიერ-კავკასიის მთავრობას 9 მილიონ მანეთს ლტოლვილთა საჭიროებისათვის.

ქართველ მხატვართა საღამო. დღეს ქართულ კლუბში ქართველ მხატვართა საზოგადოება გამართავს მხატვრულ საღამოს. პროგრამა: ბ 6 დ. არაყიშვილის კონცერტი მეტორის ხელმძღვანელობით. სურათების გამოფენა, ვახშამი—კაბარე მხატვრული. ნომრებიდან პოლიტიკურ ტემებზე. ცეკვა სცენაზე. ბილეთები კლუბის კასაში. საღამოს დასაწყისი 8 საათიდან.

მთავრობამ სეიმში შეიტანა კანონპროექტი რკინის გზის ტარიფის დროებითი გადიდების შესახებ, განზრახულია ახლანდელი ტარიფი მგზავრებისათვის 200 პრ. გადიდდეს, ბაქო-საბუნჩა-სურახანის გზებზე კი—100 პრ. სამგზავრო სისწრაფით გადაზიდულ ტვირთში გადახდება 300 პროც. გადიდებული ფასი. ჩვეულებრივი . სიჩქარით გადაზიდულში კი—100 პროც. მეტი. კახეთის რკინის გზაზე ტარიფი მხოლოდ ნახევრათ იქნება გადიდებული.

კრებები და მიტინგები.

დღეს საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია მშობელთა კომიტეტის საბჭოს კრება.

# მუშათა წერილები

## ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა და ჩვენი ტაქტიკა.

კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია სხვადასხვა წრეებში. როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე აშკარათ მის წინააღმდეგ ბოლშევიკებთან ერთად ამიერ კავკასიის კადეტები გამოვიდნენ, რომელთაც ადგილობრივ სოც.-რევოლიუციონერთა ერთი ფრაქციაც შეუერთდა და ასე დაირაზმნენ, როგორც ერთა თვითგამორკვევის, ისე სოც.-დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ.

კადეტების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოლაშქრება ჩვენ ბუნებრივ მოვლენათ მიგვაჩნია, ვინაიდან ის პარტია, რომელიც საზოგადოებრივ გაბატონებულ კლასების იდეოლოგიის გამომხატველია და თავის არსებობას ერთა დაპყრობისა და დაბეჩავების პოლიტიკაზე ამყარებს, ვერასოდეს ვერ იქნება მომხრე იმ უდიდეს ინტერნაციონალურ პრინციპისა, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატმა წამოაყენა. ის პარტია, რომლის იდეოლოგები—მილიუკოვ-მაკლაკოვები—რუსეთის სახელმწიფოს იმპერიის გაფართოვებასა და გაგანიერებას ლამობდენ და კონსტანტინეპოლის შემოერთებაზე ოცნებობდენ, აბა როგორ მოინელებენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მის ეკონომიურ-კულტურულათ დამოუკიდებლათ განვითარებას?

ადგილობრივ კადეტების ორგანოს—„ნაროდნაია სვობოდას“ წარმომადგენლები ამ ბოლო დროს ქათინაურებს უძღვნის ბოლშევიკებს და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ყოვლად უმზგავსოთ და უტიფრულათ ილაშქრებს. მათი [illegible] [illegible] დებიან იმ დროს, როდესაც დღეს ბოლშევიკურ ანარქიისაგან დარღვეული რუსეთის [illegible] ლას მოიკრეფს და მოკავშირეების იმპერიალისტებთან ერთად თავს დაესხმიან ამ „ურჩ“ ქვეყანას.

კადეტების სულისკვეთებას რომ ვიცნობთ, სრულებითაც არ გვიკვირს მათი ჩვენდამი მუქარა; ჩვენ უფრო გვაინტერესებენ მეორე ჯურის დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი, რომელთაც ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მუდამ პირზე ეკერათ და ერთ კორიანტელს აყენებდენ. სახეში გვყავს ბოლშევიკები [illegible] სოც.-რევოლიუციონერთა ერთი ფრაქცია; ამ პარტიებმა, თავიანთ პროგრამის ის მუხლი, რომელიც ერთა თვითგამორკვევას შეიცავს და რომლითაც ყოვლათ შეუწყნარებელ და ურცხ დემაგოგიას აწარმოებდენ სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ, როცა ჯერი მის განხორციელებაზე მიდგა—პროგრამა ქაღალდის ნაგლეჯებათ აქციეს. მაგრამ კავკასიის დემოკრატია მეტათ გამობრძმედილია მის მოწინააღმდეგეთა ბრძოლაში და ის კვლავ შესძლებს ამ კრიზისის გადატანას, უბედურებიდან თავის დაღწევას და იმ წმინდა მოვალეობის შესრულებას, რომელიც მის ინტერნაციონალურ დროშას აწერია.

მერე რითი აიხსნება ბოლშევიკებისა და სოციალისტ-რევოლიუციონერების გამოლაშქრება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა და სოციალ დემოკრატიის წინააღმდეგ? ჩვენ ვიცით, რომ ადგილობრივ ბოლშევიკებისა და სოციალისტ რევოლიუციონერების ერთი ფრაქციის დროშის ქვეშ თავს იყრიან ნაციონალისტური და რუსიფიკატორული სულით გაჟღენთილი მოხელეები, რომლებიც დამოუკიდებლობის გამოცხადებით ბიუროკრატიულ რეჟიმის დროს ბოძებულ ადგილებს ჰკარგავენ და ერთა თვითგამორკვევა იმდენათ აინტერესებთ, რამდენადაც ის ამ „ოცი რიცხვის“ ჯიბეებს უზრუნველჰყოფს. ფრიად დამახასიათებელია ბოლშევიკების მოკავშირეთა—სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის პოლიტიკა, რომელსაც არავითარი საკუთარი პოლიტიკური და ტაქტიკური ხაზი არ გააჩნია და, ლერწამივით, ხან აქეთ ირხევიან, ხან იქით, საითაც სიო დაუბერავს. ს.-რევოლიუციონერების ერთი ფრაქციის ორგანო—„ზნამია ტრუდა“ მძიმე ბრალდებებს აყენებს (რასაკვირველია, უსაფუძვლოს) ჩვენს წინააღმდეგ,—ბეგებთან მოკავშირეობას გვწამებს, კონტრ რევოლიუციონერებათ გვნათლავს და დიდის ასოებით მოუწოდებს თვ. და საზოგადოთ კავკ. პროლეტარიატს არ აიღონ მახვილი „ბაქოს პროლეტარიატის“ წინააღმდეგ, რომლისკენაც მათ მენშევიკები ალაშქრებენ; და ამას ამბობს ის ორგანო, რომლის წარმომადგენელმა, ამ ექვსი თვის წინათ, როდესაც ბოლშევიკების მიერ ოქტომბრის გადატრიალება მოხდა, შეუბრალებლათ გაილაშქრა მათ წინააღმდეგ და პეტროგრადის პროლეტარიატის თოფ-ზარბაზნებით სისხლში ჩაღრჩობას ლამობდა. თფილისის რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა—მუშათა და სალდათთა საბჭომ სასტიკათ დაჰგმო ს.-რევოლიუციონერების ბელადის ასეთი უკიდურესი ზომებისადმი მიმართვა.

დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი ჩვენს წინააღმდეგ აყენებენ იმ დებულებას, რომ კავკასიას, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, არ შეუძლია არსებობა, რადგანაც ის ეკონომიურათ მჭიდროთ დაკავშირებულია რუსეთთანო. მათ ავიწყდებათ ის გარემოება, რომ რუსეთი დღეს როგორც ეკონომიური ერთეული აღარ არსებობს. ის უკვე კარგა ხანია დაარღვია ლენინ-ტროცკის მთავრობამ და სწორეთ ოქტომბრის გადატრიალების დღიდან იწყება არამც თუ რაიმე საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოსპობა, არამედ ყოველგვარი ცნობების მიღებაც და დაქუცმაცებულ რუსეთის „რესპუბლიკებმა“ ურთიერთის ალაგრაფერი უწყიან. ჩვენი იმედი და სასოება—დამფუძნებელი კრება კომუნისტებმა ზარბაზნებით გარეკეს, რომლის შემდეგაც ჰქრება ყოველგვარი იმედი რუსეთის აღდგენისა და დამფუძნებელი კრების მოწვევისა. ამას ზედ დაერთო ბოლშევიკების მიერ სამარცხვინო ზავი, რომლითაც რუსეთის საუკეთესო ნაწილი გერმანიის იმპერიალისტებს ჩაუგდეს და ზედ კავკასიის ციხე სიმაგრეები მიაყოლეს და ამრიგათ კავკასია, ეს რევოლიუციის ბუდე, ოსმალოთა იმპერიალისტების სათარეშოთ გახადეს და თქვენთვის აშკარა გახდება ის პირობები, რომელშიაც ჩვენი დემოკრატია ჩავარდა და რომელსაც სხვა ყოველნაირი გზა და საშუალება მოესპო, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან გ[illegible]ყო. მან არა ერთხელ მიმართა რუსეთის დემოკრატიას საშველათ, მაგრამ დახმარების მაგივრათ ბოლშევიკები მის წინააღმდეგ თავს დასხმით ემუქრებოდენ.

და თუ დღეს კავკასიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამას მოითხოვდა ის ბრძნული პოლიტიკა, რომელიც სოც.-დემოკრატიული ტაქტიკიდან გამომდინარეობს, და ორ ბოროტებაში ნაკლებ ბოროტებას ირჩევს. კავკასია—რევოლიუციის უკანასკნელი პოზიციაა და რევოლიუციონური დემოკრატია მთელის თავის ძალ-ღონით იბრძოლებს მის შესანარჩუნებლათ.

კ. კილაძე.

# ქუთაისის ავ-კარგი

**სახალხო უნივერსიტეტი.**

წარსულ რეაქციის ხანაში, სახალხო უნივერსიტეტი ერთად-ერთი ლეგალური დემოკრატ. დაწესებულება იყო, რომელიც პირნათლათ ემსახურებოდა დემოკრატიის გათვითცნობიერებას. ამას ნათლათ გვიმტკიცებს ჩვენში არსებული სახალხო უნივერსიტეტების მუშაობა წარსულში. საერთო გამონაკლის არც ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი შეადგენდა. მას უკვე ათი წლის ისტორია აქვს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ხსენებული დაწესებულება ქუთაისის დემოკრატიის კულტურულ გათვითცნობიერებას პირნათლათ ემსახურებოდა. მას სათავეში ედგა ისეთი პირები, რომელნიც მუდამ დემოკრატიის კეთილდღეობაზე ზრუნავდენ, დღიდან გაჩენისა, ამ საზოგადოების მუშაობა გამოიხატებოდა სისტემატიური ლექციების კითხვაში. ამასთან ერთად სახალხო უნივერსიტეტი მართავდა სალიტერატურო საღამოებს.

1918 წლის პირველი იანვრიდან სახალხო უნივერსიტეტმა მუშაობა უფრო გააფართოვა. მუშაობის გაფართოვება გამოიხატებოდა შემდეგში: ხსენებულმა დაწესებულებამ გახსნა მუშებისათვის საღამოს კურსები, სადაც სამეცადინოთ თავი მოიყარა ქუთაისის დემოკრატიის დიდმა ნაწილმა. ხსენებულ კურსებზე მეცადინეობა წარმოებდა კვირაში სამჯერ. მეცადინეობა გაყოფილი იყო სამ კატეგორიათ. პირველ განყოფილებაში ასწავლიდენ ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, მეორეში—ქართულ ლიტერატურას, რუსულს, ანგარიშს და ბუნებისმეტყველებას. მესამე განყოფილებაში შედიოდენ მსმენელებათ მოწინავე მუშები და იქ მეცადინეობა მიმდინარეობდა ლექციური სისტემით. ლექციები იკითხებოდა შემდეგ თემაზე: ქართული ლიტერატურა, პოლიტიკური ეკონომია, ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, საქართველოს ისტორია, ფიზიკა, მსოფლიო ისტორია, და ასტრონომია. ყველა ამ საგნებში სახალხო უნივერსიტეტს ჰყავდა მოწვეული საუკეთესო ლექტორები. მსმენელები იმდენად დაინტერესებული იყო ცოდნის შეძენაში, რომ იშვიათი იყო ისეთი შემთხვევა, რომ ლექციებს არ დასწრებოდენ და ამავე დროს ყოველივე ლექციების დროს აღგენდენ ლექციის შინაარს, კონსპექტებს, რომ ამით ლექციების შინაარსი უფრო აღბეჭდილიყო მის მეხსიერებაში. ამ მხრივ სახალხო უნივერსიტეტმა დიდი სამსახური გაუწია ქუთაისის დემოკრატიას ზოგადი ცოდნის შეძენაში. ხსენებულ საღამოს კურსების მსმენელმუშებმა თავიანთი საკუთარი ძალით გამართეს ორი სალიტერატურო საღამო.

პირველი ალ. ყაზბეგის და მეორე აკაკის საპატივსაცემლოთ. ხსენებულ კურსებზე აღზრდილ მუშებს დღეს დაინახავთ ქუთაისის სხვადასხვა რევოლიუციურ ორგანიზაციებში. აი, ასეთი იყო სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა რევოლიუციის პირველ დღემდე. რევოლიუციის პირველ დღეებიდან ხსენებული დაწესებულების მუშაობა შეწყდა. ეს ერთი შეხედვით არც გასაკვირელი არის. მთელი ძალების ამუშავება დაიწყო რევ. ორგანიზაციებში. მართალია არსებობდა ახალგაზრდა მუშებისათვის საღამოს შკოლა, მაგრამ მას არ ხელმძღვანელობდა სახალხო უნივერსიტეტი. ამ საღამოს შკოლას ხელმძღვანელობდა ამხ. ლიზა მეძმარიაშვილი, სადაც ახალგაზრდა მუშები მეცადინეობდენ. ამ უკანასკნელათ ეს საღამოს შკოლა მიიღო ქალაქის გამგეობამ, რომლის შესაძენათ უკვე გადადო 9,000 მანეთი.

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრები შეუდგენ ჩვეულებრივ ნაყოფიერ კულტურულ მუშაობას. ამას მოითხოვს, როგორც ამ საზოგადოების წევრების, აგრეთვე საერთოდ ქუთაისის დემოკრატიის ინტერესები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ხსენებული საზოგადოების გამგეობის წევრები შეუდგებიან მუშაობას და სახალხო უნივერსიტეტს არ დაუკარგავენ ძველ ცოცხალ მომქმედ სახელწოდებას.

ი. ხადემეტროველი.

# სახალხო უნივერსიტეტი

ნაძალადევისათვის 1918 წლის 15 მაისი დიდმნიშვნელოვან დღეთ უნდა ჩაითვალოს. ნაძალადევის მშრომელი ხალხი მხოლოდ ზემოხსენებულ დღეს ეღირსა იმ დიდს და მნიშვნელოვან მუშათა კლასისათვის აუცილებელ დაწესებულებას, რომელიც მას სჭირია თავის მოწინააღმდეგე კლასთა საწინააღმდეგოთ. ეს გახლავთ სახალხო უნივერსიტეტი. მუშათა კლასმა შესაფერისად დააფასა ეს მოვლენა. დარბაზში შესვლისთანავე თქვენ თვალწინ გადიშლებოდა თვალწარმტაცი სურათი. დარბაზში გაჭედილია დამსწრე საზოგადოებით განურჩევლათ სქესისა და მოუთმენლათ ელიან კრების გახსნას. კრება იხსნება საათის ხუთზე, თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. გ. ბახტაძე. თავმჯდომარემ მოკლე და შინაარსიანი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა სახალხო უნივერსიტეტის გახსნა ნაძალადევის რაიონში და განმარტა მისი მნიშვნელობა. შემდეგ იწყება სხვადასხვა რევოლიუციონურ და კულტურულ დაწესებულების წარმომადგენლების მილოცვები. სხვათა შორის, კრებას დაესწრენ ამხ. ვოლსკი, მ. არსენიძე და ვ. თევზაია. ყველა ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ ევროპის პროლეტარიატი დიდ იმედებს ამყარებდა რუსეთის რევოლიუციაზე და თუ რევოლიუციამ არ მოგვცა ის შედეგები, რომელსაც მოველოდით მისგან, ეს ჩვენი მოუმზადებლობის და მოუმწიფებლობის ბრალია, მაგრამ ტყვილათ ჰგონიათ რევოლიუციის მტრებს, თითქოს რუსეთის დიდებული რევოლიუცია სავსებით დამარცხებული იყოს და ჯვარის დასმა სჭიროდეს. თუ გვსურს, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია პროლეტარიატისთვის სასურველ კალაპოტში ჩადგეს, ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც პროლეტარიატი პოლიტიკურათ მომწიფდება და გონებრივათ განვითარდება. ამისათვის კი აუცილებლათ საჭიროა სახალხო უნივერსიტეტიო.

დამსწრე საზოგადოება სულგანაბული უსმენდა ორატორებს და გრძნობდა მათ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ სინამდვილეს, რომელიც, თუმცა სამწუხაროა, მაგრამ მაინც ფაქტია. შემდეგ ამხ. ვოლსკი კითხულობს სიას ლექტორებისას. განაწილებულია შემდეგნაირათ. კვირაში იქნება წაკითხული ოთხი ლექცია. სამშაბათობით წაიკითხავს ვოლსკი (მეცნიერული სოციალიზმი რუსულათ 7—9 საათამდე), ოთხშაბათს წაიკითხავს იშკოვი: „რევოლიუციური მოძრაობის ისტორია“ (6—8 საათ. რუსულათ), ხუთშაბათს წაიკითხავს ვ. თევზაია „პოლიტიკური ეკონომია“ (6—8 საათამდე ქართულათ), პარასკეობით მ. არსენიძე—„სოციალიზმის ისტორია“ (6—8 საათ. ქართულად).

ე. კაციტაძე.

# მოვალეობის მსხვერპლნი

**გრიშა აბულაძე.**

სამწუხარო და გულის დამთუთქველი ამბავი გვაუწყა დეპეშამ: გრიშა მოგვიკლეს,—მოვასვენებთ, შეგვეგებეთო...

ეს იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასიის დემოკრატია და კერძოთ თფილისის მუშები მთელის ძალ-ღონით იბრძვიან თავისუფლების დასაცავათ.

ვინ იყო გრიშა? ის ჯერ კიდევ ახალგაზდა მოწინავე მუშათაგანი იყო ტრამვაის მუშებში. 1905 წლიდან მრავლათ გამოსცადა რეაქციის სუსხი. ის ყოველთვის აქტიური მონაწილე იყო როგორც ეკანომიურ, ისე პოლიტიკურ გაფიცვებში და როცა წითელი გვარდია სდგებოდა წარსული წლის ნოემბრის რიცხვებში, მან პირველმა ისურვა აიღო თოფი ხელში. „განა მე თქვენ უნდა ჩამოგრჩეთო“, ასე უპასუხა მან თავის ამხანაგებს ნაავთმყოფევმა დაბრუნებულმა სამუშავოზე. ის თითქმის ყველა გამოსვლებში ღებულობდა მონაწილეობას და ფრონტზედაც გაემგზავრა და ოჩემჩირის მხარეში დაეცა ტყვიით გულ-გაგმირული...

აღარა გვყავს გრიშა... აღარ გვესმის მისი დარდ-ნაღველის გამქარვებელი სიმღერა... გული დაგვითუთქა, დაგვამწუხრა გრიშას სიკვდილმა ჩვენ ტრამვაის მუშა-ამხანაგები.

მშვიდობით ამხანაგო! შენი ვალი გმირულათ მოიხადე მშრომელი ხალხის წინაშე და ამხანაგების გულში სამუდამოთ დაუვიწყარი იქნება შენი ძვირფასი ხსოვნა, ძვირფასო ამხანაგო!

თ. სპარტაკი.

# გზა და გზა

**გურიაში.**

V

აკეთიდან ძიმითში გავემგზავრეთ. დღე მოღრუბლული იყო და წვიმდა. ატალახებულ გზაზე მგზავრობა ძნელი იყო.

ბევრი რამ გავიგეთ გურიის ბნელი ძალების მოქმედებიდან. მოწინავე ძალები ბრძოლაშია ჩაბმული, გარეთ თხრილებში, საომარ სანგრებშია დარაზმული... კონტრ-რევოლიუციონერები, ბნელეთის მოციქულები მზადებაშია, ზურგიდან მუხანათური მახვილით ამოწვდილი დროს უცდიან...

ბოროტი ენები მუშაობენ...

— გეგეჭკორმა პირველათ ააფრიალა თეთრი დროშა ბათუმშიო.

— ჩხენკელმა გააჭიანურა მოლაპარაკება, რომ ხელი შეეწყო ოსმალთათვისო.

— ჟორდანიამ საქმე წააგო და გაიქცაო.

— მთავრობამ გვიღალატა, ოქროს ფულები აიღო და მისი წევრები წავიდენ რუსეთშიო.

— დავხვრიტოთ მეთაურები, ოსმალეთის ფაშებს მოველაპარაკოთ, შევურიგდეთო.

— ახალმა წესწყობილებამ დაგვღუპა, დავასამართლოთ ისო.

აი მოკლეთ კონტრ-რევოლიუციონერთა ლოზუნგი—პროვოკაცია ოზურგეთის დაცემის დღეს, ესე იგი იმ დროს, როცა მდგომარეობა კატასტროფიული იყო, როცა მთელი ხალხი განსაცდელში იყო ჩავარდნილი.

ხალხის მტრებმა დრო იშოვეს, საქმეს შეუდგენ, მაგრამ მათი გამოსვლა დამთავრდა მათივე დამარცხებით!..

აკეთში ამხანაგებმა მოგვითხრეს: ოზურგეთის დაცემისთანავე, იმავე ღამეს თათბირი გაიმართა რეაქციონერთა და ფიქრობდენ ხალხთან ერთათ თეთრი დროშებით ფაშასთან მისვლას, მაგრამ მათ ასეთი განზრახვას ბოლო მოუღო ხალხმა. ასევე ამოძრავებულან ყველგან ცნობილი რეაქციონერები...

თუ ერთი მხრით რეაქციის აჩრდილი ამართულა, მეორე მხრითაც „სანატრელი წუთები“ უპოვნიათ და ფურცლები ფურცლებზე გამოდის, აერცელებენ ჯარში.

— „ძირს კონტრ რევოლიუციონური სეიმი! ამხანაგებო, მოვიშოროთ მოღალატე მენშევიკთა ბატონობაო“.

მოუწოდებენ ახალი დროის „კომუნისტები“ მეომართ.

ცხადია, ეს მოვლენა დამაფიქრებელია, ყველა ეს ხდება მაშინ, როცა ქვეყანა, ხალხი განსაცდელშია...

გურიის ამბები გაკვეთილია ყველასათვის...

როგორ შეეგება ყველა ამას გურიის დემოკრატია?

შეაფერათ. ჩვენი მოგზაურობა და ხალხის სულიერი განწყობილება ამას აშკარათ ამტკიცებდა.

შუადღე იყო, რომ ძიმითს დაუახლოვდით. ის იყო მაღლობს ავედით, ტყეში ვიწრო გზაზე მივდიოდით, რომ ზედი ზედ თოფის სროლა მოგვესმა. ამგვარი სროლა დღეს სოფლად ხშირია. ეს მიეწერება ზოგიერთ გზა აბნეულთ, ამის წინააღმდეგ ზომებიც მიუღიათ.

სოფელი დევნილებით გავსილია. ყველა ეზოები ქალებით, ფეხ-შიშველა ბავშვებით მოფენილია. სასიმინდეები და სხ. თავშესაფარ ბინებათ გადაქცეულა, ზოგ ალაგას საუბარია, ბავშვების ტირილი ისმის, დავა, პოლიტიკური სჯა ბაასიც გაუჩაღებიათ. საერთოთ, სურათი მოსაწყენია.

შკოლის ეზოც ლტოლვილებითაა აღვსილი. იქვე დიდ-ძალ ხალხს მოეყარა თავი. იქვე ვნახეთ სოფლის მოწინავე ამხანაგები, რომელნიც რეაქციის დროს ხალხში მუშაობდენ, იბრძოდენ, დღესაც იქვე არიან—ხალხს ამხნევებენ პროვოკაციულ გამოსვლებს ებრძვიან. ამ ამხანაგების დანახვამ მე მომაგონა ტალმაჩევის უბედური ხანა და ჩვენი მებრძოლი ამხანაგების შესაფერი მოქმედება, მოქმედება საქმით და არა სიტყვით.

მათ საყვედური გამოსთქვეს, რომ გურიას ხელი აიღეს, მომუშავენი არ სწყალობენო.

ერთმა ძველმა ამხანაგმა მწუხარეთ გვითხრა, გვიან, გვიან მოდით... ეხლა ღირსი ხართ დაჭერისო!

მიტინგზე თავი მოიყარა ძიმითის, აცანის საზოგადოების მცხოვრებლებმა და ლტოლვილებმა. რამდენიმე ათასი ხალხი დაფიქრებით ისმენდა ამხ. ისიდორეს მოხსენებას. ხალხი მძიმე მომენტის წინ დამდგარი თვითეულ სიტყვას თავის გონებაში იმარხავდა.

მოხსენება გათავდა და ხალხში ეჭვებიც გაიფანტა.

ხალხმა გაიგო სინამდვილე, გაიგო რომ სეიმი, მთავრობა, სოც.-დემოკ. პარტია სდგას თავის სიმაღლეზე და ასრულებს მძიმე მოვალეობას. ასე ამბობს კრების ძალთა განწყობილება. მოხსენებას ღებულობენ. პროვოკატორების შექმნილი ზღაპარიც წაიშალა. გათავდა კრება. ხალხი დაიშალა.

სხვადასხვა საკითხების გამო ამხანაგებში საუბარი გაიმართა. ამ დროს ჩემთან მოდის აღელვებით ერთი ბოლშევიკი და მეუბნება:

—თქვენ უნდა დაამტკიცოთ ბოლშევიკთა წინაღმდეგ წარმოთქმული სიტყვა, ჩვენ ფურცლებს არ ვავრცელებთ, ჩვენ გვესმის მდგომარეობა, ჩვენ ვიბრძვით ყოველთვის ხალხთან ერთად.

— შეიძლება თქვენ ასე იქცევით, ვიცი თქვენი მოქმედება, მაგრამ მე ვამბობ იმ ხალხზე, რომელიც ასეთ დროს ჯარს სეიმის ჩამოსაგდებათ მოუწოდებს—ვუპასუხე.

— ჩვენ არ ვიზიარებთ კომუნისტთა აზრებს და გვინდა ამაზე თქვენთან მოლაპარაკებაო.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი ბოლშევიკები არ დაბნეულა და თვით-გამორკვევას დასდგომიან. ეს სასიამოვნო მოვლენაა და ჩვენც ვფიქრობთ, რომ საქმის ამხანაგები ამ რთულ პირობებში გარკვეულ გზას დაადგებიან და წინ, ხალხთან ერთად გასწევენ.

ლიხაურიდან გამოქცეულმა იაკინთე სურგულაძემ მოგვითხრო: „მე სოფელში დავრჩი ოსმალების ჯარის შემოსვლის დროს. ლიხაურში შემოვიდა ქობულეთის, ქაქუთის, ლეღვის სოფლის რაზმები, რომელნიც თავიანთ თავს „ჩეტნიკებს“ უწოდებდენ. რაზმებმა დაგვიჭირეს სოფლათ დარჩენილი მოხუცები, შეუდგნენ უპატრონოთ დარჩენილ ოჯახების ძარცვას და თვით ჩვენ გვაზიდვინეს ნივთები თავიანთ საფლებში. გატაცებულ ნივთებს აწყობდენ ქაქუთში სულია ზოიძის, სულია მეგრელიძის და ხასანა ბერაძის სახლებში. ძარცვა-გლეჯამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ყოველგვარი საზღვარი დაჰკარგა, მიჰქონდათ ყველაფერი“.

ადგილობრივი ნაძირალები, რომელთაც ჯარისკაცთა ფარაჯები აქვს, გადაცმული იტაცებენ ყველაფერს და მასთან ჩვენ მიერ გამოტანილი გადარჩენილი ნივთები მათ გაიტაცესო“,—შემოგვჩივლა ორმა და ასეთი საჩივრები სხვებისგანაც იყო ბევრ ადგილას.

ძიმითში ჩვენ დავინახეთ, რომ ადგილობრივი ხალხი ცუდ მდგომარეობაშია ჩამდგარი, რადგანაც ომის სიმძიმე ყველაზე უმეტესათ მას დაწოლია და გადმოხვეწილებიც ძლიერ გაჭირვებას განიცდიან.

ბევრმა შემოგვჩივლა: „ვშიმშილობთ და სთხოვეთ სადაც ჯერ არს გვიშველონო“.

ჩვენი წინადადების თანახმად 7 მაისს მოწვეულ იქნა გურიის ს. დ. კომიტეტის საგანგებო კრება, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე გურიაში წომუშავე ამხანაგები. კრება ნაგომარში გაიმართა. დაესწრენ ყველა კუთხეებიდან

მოხსენებას აკეთებს კომიტეტის თავმჯდომარე საერთო მდგომარეობის შესახებ. გზადაგზა ეხება ოზურგეთის დაცემის ისტორიას, ორგანიზაციების მუშაობას და იმეორებს იმას, რაც ჩვენ წინა წერილებში აღვნიშნეთ. საყურადღებოა მოხსენების ერთი ნაწილი: ოზურგეთის დაცემისთანავე შემდგარა „შაიკები“, რომელნიც აწარმოებენ ძარცვა-გლეჯას და არბევენ ისედაც განადგურებულ ოჯახებს და სხვა. ის იყო მოხსენება არ გაეთავებია მომხსენებელს, რომ დარბაზში შემოვა ამხ. ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი და სხვა ამხანაგები, კრება მათ ფეხზე ადგომით და ოვაციებით შეეგება.

ოზურგეთის თვითმართველობის და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხმა კამათი გამოიწვია. ამის შესახებ მოკლე სიტყვას ამბობს ნ. ჟორდანია: მან აღნიშნა: საზავო დელეგაცია წავიდა, მოლაპარაკება არის. სანამ არ გამოირკვევა საქმის შინაარსი, მანამ ლტოლვილთა დაბრუნება საფიქრებელია სხვადასხვა მოსაზრებით. რაც შეეხება თვითმართველობის მოქმედებას, ეს კი შეუწყნარებელია. არის სავალდებულო, რომ როცა ასეთ განსაცდელში ვარდება ქალაქი, მაშინ ქალაქის თავი და ხელმძღვანელნი საბჭოსი თავის ადგილზე რჩებიან და ასეც უნდა მომხდარიყოო. ეხლა, რაკი ეს ფაქტი მოხდა, ვინც დამნაშავეა მას გავასამართლებთ, მხოლოდ ეხლავე საჭიროა თვითმართველობა ჩავიდეს ოზურგეთშიო.

კამათის შემდეგ ღებულობენ დადგენილებას თვითმართველობა თავის შემადგენლობით ჩავიდეს ოზურგეთში.

ოზურგეთის დაცემის იქ მომხდარ ამბებისა და ზოგიერთ ამხანაგების შესახებ საქმის გამოსარკვევათ ღებულობს კრება ამხ. ნ. ჟორდანიას წინადადებას—საგანგებო გამომძიებელ კომისიის არჩევის შესახებ.

კრება ერთხმათ ავალებს ამხ. ის. რამიშვილს კომისიაში მონაწილეობის მიღებას.

სასურსათო კრიზისის გამო კრება ადგენს: საჩქაროთ შედგენილი იქნას საგანგებო კომისია, რომელიც დახმარებას გაუწევს ლტოლვილებს, შეიძენს სურსათს და მიღებულს გაანაწილებს სამართლიანათ. გამოარკვევს დაზარალებულთა რაოდენობას და სხვა.

ამიერ კავკასიის სეიმის შესახებ მოხსენებას აკეთებს ის. რამიშვილი. მან განუმარტა კრებას ზავისა და დამოუკიდებლობის საკითხები. ვრცელ და შინაარსიან სიტყვის შემდეგ ისიდორე აღელვებული ამთავრებს თავის სიტყვას: „თქვენ ისტორიული მოვალეობა გაწევთ ეხლა, თქვენ ვერ შეძელით და ვერ გაამართლეთ ამ მძიმე დროს დაკისრებული პასუხისმგებლობა. დღეს დრო დადგა გაიწმინდოთ პირველათ, შექმნათ მოწინავე ორგანიზაცია, დადგეთ თავის სიმაღლეზე და ხალხის წინაშე მოიხადოთ მოვალეობა. თქვენ შიში არ უნდა იცოდეთ, თქვენ არ უნდა იხევდეთ უკან და მზათ უნდა იყოთ ყოველივე მოქმედებისათვის, საქმიანობისათვის, თავ განწირვისათვის“ და სხვა.

ორატორს ხშირათ აწყვეტინებდენ სიტყვას ტაშის ცემით. მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა კრებამ მოხსენება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, ერთხმათ ადასტურებს ამიერ-კავკასიის ს. დ. ფრაქციისა და საოლ. კომიტეტის დადგენილებას ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ და აქტიურათ მხარს დაუჭერს გურიის კომიტეტი ხელმძღვანელ ორგანოებს გადადგმულ ნაბიჯის დასაგვირგვინებლათ“.

კრება დაიშალა და შემდეგ მოხდა საგანგებო კომისიის კრება. საგანგებო კომისიამ თავმჯდომარეთ აირჩია ის. რამიშვილი, შეიმუშავა სამოქმედო წეს-რიგი და ამით გათავდა...

ლაპარაკი ზედმეტია, საჭიროა საქმე.

ანანია.

# საზავო დელეგაციის საპატიო ყარაულის „ორი მათგანის“

**საყურადღებოთ.**

(წერილი რედაქციის მიმართ).

გაზეთ „ერთობის“ № 91-ში მოთავსებულია წერილი შემდეგის სათაურით: „საზავო დელეგაციის საპატიო ყარაულის თავგადასავალი“. და ბოლოში ხელს აწერს „ორი მათგანი“. არ მოგახსენებთ მათი თავგადასავლის შესახებ არაფერს, მხოლოდ შევეხები წერილის იმ ადგილიდან, სადაც მეხებიან მე და ჩემ მოქმედებას; 17 აპრილს ახ. სტ. ქართული სანიტარული რაზმი ჩამოვიდა ტუაპსეში და მეც, როგორც თანამგზავრი, დაინტერესებული ვიყავი მათ უვნებელ მოგზაურობაში და ყოველივე ზომებს ვხმარობდით მოძრაობის დაჩქარებაში და სხვ. იქაური ქართველებისაგან გავიგეთ, რომ ადგილობრივ ციხეში ზის საპატიო ყარაული ამიერ კავკასიის კომისარიატის დელეგაციისა შემდგარი 13 ოფიცრისაგან. გადმომცეს აგრეთვე ისიც, რომ აღნიშნული პირები განთავისუფლებული იქნებიან მის შემდეგ, როდესაც განთავისუფლდება ამიერ კავკასიის კომისარიატისგან დაპატიმრებულნი: ბუდუ მდივანი, სერიოჟა ქავთარაძე, ფილიპე მახარაძე და სხ.

მე განვიძრახე როგორმე „პროპუსკი“ მეშოვნა მათ სანახავათ. და 18 აპრილს დღის 2 საათზე რევ. შტაბის წევრის თანხლებით მივედი ციხეში.

ციხიდან წამოვედით შტაბის წევრთან ერთათ და ვსთხოვე, რომ **საპატიო ყარაულის** საკითხი დაესვათ საღამოს შტაბის სხდომაზე გასარჩევათ და თანაც გავაცანი, რომ აღნიშნული პირები სრულიათ არ არიან ისეთი საშიში პირები, როგორც თქვენ გგონიათ მეთქი, რომ ისინი ასრულებდენ უბრალო დავალებას და სხ. ამავე დღეს 4 საათზე სოც.-ფედ. კომიტეტის და წევრთა სხდომაზე გავაცანი ყველანი საპატიო ყარაულის მდგომარეობის შესახებ და ვაცნობე მათ, რომ ადვილი შესაძლებელია აღნიშნული პირები განათავისუფლონ თუ აღვძრავთ შუამდგომლობას მეთქი და მათაც დამრთეს ნება აღმეძრა შუამდგომლობა.

საღამოს 8 საათზე, როდესაც მივედი რევ. შტაბში ამბის შესატყობათ მაცნობეს, რომ ყარაული განთავისუფლებული იქნებაო. საჭირო განსათავისუფლებელი ორდერები იქნა დამზადებული და 9 საათზე უკვე ყველანი მხიარული სახით კიკნაძის საყავეში ვისხედით. ასეთი იყო ისტორია „საპატიო ყარაულის განთავისუფლებისა“. „ორი მათგანი“ თავის წერილში მკითხველებს მოუთხრობენ, რომ: **„პლატონ ლეჟავას საგანგებო მონდობილება ჰქონია ბოლშევიკებისაგან, რათა საქართველოში შეადგინოს პარტიზანული** რაზმი სეიმის წინააღმდეგ და შესაფერი დოკუმენტებიც თან ჰქონია“. ეს არ არის მართალი. როდესაც პარტიზანულ რაზმზე იყო ლაპარაკი, ეს თვითონ მათი განცხადების შედეგი იყო. მათ სთქვეს, რომ თუ კი გაგვანთავისუფლებენ ჩვენ სიამოვნებით ჩავეწერებით პარტიზანულ რაზმში, რომ ბათუმი დავიცვათო. (მაშინ ბათუმი არ იყო დაცლილი), მეც ავუხსენი მათ თუ როგორ მოეწყო რუსეთში პარტიზანული რაზმები და სარგებლობა მოუტანა საბჭოების მთავრობას. ასე რომ მე დავალება არა მქონს რაზმი შევადგინო სეიმის წინააღმდეგ.

შემდეგ „ორი მათგანი“ თავის წერილში განაგრძობს: „ტუაპსეს ქართველებმა მას (ე. ი. მე) სთხოვეს, რომ თავისი (ე. ი. ჩემი) გავლენით ჩვენ დავეხსენით. მან ეს თხოვნა შეიწყნარა და მეორე დღეს მოვიდა ჩვენთან ციხეში“.

მე სრულიათ ადგილობრივ ქართველების დაუკითხავათ წავედი მათთან და არავის ჩემთვის არავითარი თხოვნით არ მოუმართავს. ასე რომ ესეც სიცრუეა.

ქვევით განაგრძობენ: „სოხუმის ახლოს მთელი ორი დღე ვიყავით და დიდი განსაცდელი გამოვიარეთ. ლეჟავა და სხვები გადავიდენ სოხუმის შტაბში „პროპუსკების“ ასაღებათ. შემდეგ ჩვენ **ცამეტივე** მოგვიხმეს შტაბში, სადაც თავმჯდომარეობდა პლატონ ლეჟავა და მდივნათ იყო ვლ. ბახტაძე. მათ აგვიხსნეს სოხუმის გარემოება და გვთხოვეს ჩვენგან 4 კაცი სოხუმში დარჩენილიყო ინსტრუქტორებათ, ვინაიდგან ოფიცრები ნაკლებათ ყავდათ. ჩვენ ყველანი უარზე ვიყავით, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდით და კენჭის ყრით შეხვდა დარჩენა 4 კაცსო“. აქაც სიმართლეს ღალატობენ. განა შეიძლება, რომ შემთხვევით მოსულმა პირმა, რომელიმე რევოლიუციონურ ორგანიზაციაში ითავმჯდომარეოს ან რაიმე ასეთი რამ მოხდეს? რაც შეეხება წინადადებას სოხუმში დარჩენის შესახებ, ეს კი ფაქტია, რომ შეეკითხენ მსურველები იყვნენ თუ არა დარჩენის. საერთოთ განთავისუფლებული იყვნენ იმ პირობით, რომ მათ ჯერ არ გამოეშვებდენ თავის ნაწილში და პროპუსკიც ხოლოდ სოხუმამდე მომცეს და რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადებამ სოხუმში მოგვისწრო, უფრო ეს საკითხი გაართულა.

არავითარ კენჭის ყრას იქ ადგილი არ ჰქონია და არც „ცამეტივე“ მიუხმიათ. იქ იყო სულ 5—6 კაცი იმ ცამეტიდან. აგრეთვე არავითარ გამოპარვას ადგილი არ ჰქონია და რადგან ყველას პროპუსკები აღებული ჰქონდათ, თავისუფლათ წამოვიდენ. ყოველ შემთხვევაში უთუოდ დანარჩენი თერთმეტი მათგანიც წაიკითხავენ „ორი მათგანის“ მოთხრობილ თავგადასავალს და ყველანი დარწმუნდება მათ სიყალბეში. არ არის მართალი, ვითომ მათთვის შევგროვებიოთ ფული 1,400 მანეთი. საქმე რაშია? ამხ. გიგინეიშვილმა ჩვენი წინადადებით შეაგროვა ამხანაგთა შორის 623 მან. და გადმომცა რაც ჩვენი პარტიის სასარგებლოთ ირიცხება და არა მათ სასარგებლოთ. იმ ფულებიდან მათი ნახარჯი იქნა გასტუმრებული 168 მანეთი და ნაღდათ მივიღე 455 მანეთი. კიდევ მეორე ამხ. ვ. გიორგაძემ შეაგროვა ჩვენი პარტიის სასარგებლოთ განსაკუთრებული სიით 350 მან. 50 კაპ. ყველა ჩვენი პარტიის შემოწირულებაც რომ შევაერთოთ მაინც [illegible] იყო 1400 მანეთამდე შეკრებილი. ერთი [illegible] ყვით ესეც დიდი სიცრუეა და ამასაც დაამოწმებენ დანარჩენი თერთმეტი მათგანი. დასასრულ ვსთხოვ დანარჩენ თერთმეტ მათგანს ხმა ამოიღონ და გაჰკიცხონ ყველა „ორი მათგანის“ წერილის სიცრუე.

პლ. ლეჟავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოც.-დემ. პარტიაში

ერკეთი (გურია). 9 მაისს შესდგა ერკეთის რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის წევრთა კრება. კრებაზე გამოცხადდა თითქმის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელი, (გარდა ორისა). გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: მოხსენება ცენტრ. კომიტეტისა, მოხსენება სასურსათო საკითხზე, საზოგადო პარტიული კრება, თოფების დარიგება, საწევრო ფულები, ხიზნების რაოდენობის გაგება და სხვ. პირველად ვრცელ მოხსენებას აკეთებს ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენელი ბათუმ-ოზურგეთის დაცემის შესახებ.

მომხსენებლის ყველა წამოყენებული დებულებები კრებამ ერთხმად მიიღო უცვლელად. სასურსათო საკითხზე მოხსენების შემდეგ გამოირკვა, რომ სიმინდის შესაძენათ არჩეულია კომისია სამი კაცისაგან შემდგარი, რომლებიც მთელი ერკეთის საზოგადოებისათვის იძენენ საჭირო სიმინდს. პარტიის წევრების საზოგადო კრების მოწვევა გადაიდო. თოფები უნდა განაწილებულ იქნეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ სოფელში რამდენი საიმედო პირები არიან, რომლის სიაც ცალკე იქნა შედგენილი. საწევრო ფულები უნდა იქნეს დაუყოვნებლივ გადახდილი და მორიგ კოლექტივის კრებაზე წარმოდგენილი 6 თვის ერთად. ხიზნების სიის შედგენა თავიანთ სოფლებში ევალება კოლექტივის თითეულ წარმომადგენელს.

ერკეთიხელი.

## მუშათა შორის

თბილისის სათონეების ხაზეები. 15 მაისს მოხდა მუშების კრება მოითხოვდენ ეკონომიურ დაწყებული დანაკლის ჯამაგირებს, თორემ მუშაობას შეწყვეტით იმუქრებოდენ. საქმეში ჩაერიენ მოწინავე მუშები და აუხსნეს დღევანდელი ვითარება და მოუწოდეს, რომ განეგრძოთ მუშაობა. მივიღებთ ყოველივე ზომებს, რომ მუშების კანონიერი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნასო, აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი კომისია და მისცეს ხუთი დღის ვადა. მანამდე კი რადგანაც მდგომარეობა სახიფათოა გაფიცვასაც ვწყვეტთო. 15 მაისს რკინის გზის სადგურის ლიანდაგზე სამწუხარო ამბავი დატრიალდა: შემთხვევით ორთქმავალმა გასრესა ბუბულა (ბარბარე) სანაძის ასული ახალგაზრდა ქალიშვილი.

## პროვინცია

ზემო ქართლში. 2 მაისს თფილისიდან გავემგზავრე გორის მაზრაში. ამიერ-კავკასიის სამხედრო ცენტრის და შინაგან საქმეების სამინისტროს დავალებით.

4 მაისს დავესწარი მიხაილოვის გვარდიისა და შტაბის შეერთებულ კრებაზე. კრებას გააცნეს ბორჯომ-ახალციხის მდგომარეობა. დაისვა საკითხი გვარდიელების მობილიზაციის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გვარდიელებისათვის სამტრედიაში ჩამოერთმიათ იარაღი და უიარაღოთ ხომ არ წავალთო იძახდენ. იარაღის შესახებ კრებამ ერთხმად დაადგინა: „რადგანაც ბორჯომის მხრით მეტი საფრთხე მოგველის შინაური თათრების ბრბოების მიერ, ამიტომ ეცნობოს ვისგანაც ჯერ არს და იარაღები დაბრუნდეს აქეთ და თუ ვინმე ფლობს პირებს ქონდა იმათ არ მიეცეს. მხოლოდ გვარდიელების სრული განწყობილების გასაგებათ მოწვეულ იქნას შტაბის მიერ პირველ მოხვედრებისთანავე გვარდიელების კანონიერი კრებაო".

ამავე კრებაზე არჩეულ იქნა სამობილიზაციო კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი, რომელსაც დაევალა სოფლად იარაღიანი სალდათების შეკრება. კომისია იმავე ღამეს შეიკრიბა და გაგზავნა სოფელ მეტეხში ამხანაგები.

4 მაისს დილის 8 საათზე შეიკრიბა კომისია. კრებამ იქვე გამოიმუშავა მოწოდება, დაგზავნილ იქნა კომისიის წევრები და დამხმარე პირები შემდეგ სოფლებში: სურამის, გომის რაიონში. 11 საათზე წავედით დანიშნულ ბისამებრ სოფელ ბრილში, რომელშიც 60 კომლამდე მოსახლე ცხოვრობს. აქვე შვნახეთ ალის საზ. კომისარი იმერლიშვილი, რომლის დახმარებით შევკრიბეთ ხალხი და აუხსენით მდგომარეობა. ერთხმათ შეგვძახეს „ქუდზე კაცი უნდა გავიდეთ". ამას იძახიან მოხუცებულები, მაგრამ, სამწუხაროთ, ახალგაზრდებმა გულცივათ გვითხრეს: „დღემდე ჩვენ ვიყავით ომში და ახლა ვინც არ ყოფილა ის წავიდესო".

როცა საქმე ყოველმხრივ ავუხსენით, შეგვპირდენ: „რაკი ასეა საქმე, ჩვენც მოვდივართო". ჩაეწერა კიდეც რამოდენიმე პირი, რომლებსაც არჩეულებთან ერთად დაევალა შეკრება იარაღიანი პირების და წამოყვანა. ვინც არ წამოვიდოდა, იარაღი უნდა ჩამოერთმია.

ამის შემდეგ მივედით ალში, სადაც 900 კომლი მოსახლე ცხოვრობს. გზაში იმერლიშვილმა გვამბო: გუშინ ჩვენ მე და გომის რაიონის კომისარი ჩილაძე ვიყავით აქ, მაგრამ არაფერი საქმე მათგან არ გამოვიდა. ჩავთვალე რომ წავიდა, მე მივალე ზომები, რომ შემეკრიბა იარაღიანი პირები და გამეგზავნა დანიშნულებისამებრ, მაგრამ კინაღამ მომკლეს. და იმედ დაკარგული, შეშინებული, სახე გაფითრებული მივდიოდი. აქ მილიციონერების დახმარებით შევკრიბეთ განსაკუთრებით ყოფილი ჯარისკაცები იარაღიანი, რომლებიც ბატონობენ უმთავრესათ ამ საზოგადოებაში და დიდი კამათის შემდეგ, მით უმეტეს, როდესაც დავარწმუნეთ ბოლშევიკების ტაქტიკის სასტიკ შეცთომაში, მაშინ ერთხმათ შეგვძახეს: მართალია, მართალია, ფრონტი რომ არ მიგვეტოვებია, დიდიხნიდან ადრე იქნებოდა ზავი ჩამოგდებულიო.

გადავედით სოფელ წაღვლში, სადაც ორასი კომლი მცხოვრებზე იქნება.

წავედით ეკლესიაზე, მაგრამ გაგვიცრუვდა იმედი—იქა ვნახეთ ოთხი მლოცველი საკურთხით, მღვდელი და დიაკვანი. დავბრუნდით და შევკრიბეთ ჯარისკაცები. გავაცანით, რაშიაც იყო საქმე. აქაც იგივე კითხვები, რაც მოვიხსენიეთ და იგივე ჩაწერა-შეპირებით გამოვემშვიდობეთ ხალხს. გამოვიარეთ სხვადასხვა პატარა სოფლები, რომლებსაც ვაცნობეთ მდგომარეობა და ყველა გვპირდება გამოსვლას. სოფელ მოხისში, როგორც ამბობენ, ორმოცდაათ კაცამდე მაინც იქნება შეიარაღებულები, მაგრამ ისეთი დროა, ყველა ქეიფობს... ეკლესიის გალავანში შეკრებილიყვნენ ჯარისკაცები და ქეიფობდენ. ჩვენ დაგვინახეს და მიგვიპატიჟეს. აუხსენით მათაც ჩვენი მისვლის მიზანი. მიგვასწავლეს მათი ხელმძღვანელზე „იმას მოელაპარაკე და ჩვენ ყველა წამოვალთო". ჩვენც ვინახულეთ ყოფილ ჯარისკაცების ხელმძღვანელი ივანე ამბოკაძე, რომელიც ქეიფობდა ტოლამხანაგებში. როდესაც გავაცანით ყოველივე, რისთვისაც გვიჩვევით მისვლა, მან უდავოთ იმწამსვე გვიპასუხა: „რაკი ასეა ჩვენი საქმე, ჩვენი თავი ზვარაკათ შეიწირეთ სამშობლოსა და თავისუფლებას დასაცველათო" და გვითხრა: „როგორც საშინელი პირში, ვიცი, საათებსაც აქვს მნიშვნელობა ასეთ დროს და ამიტომ დროს არ დავაკარგვინებთ, მხოლოდ დაგვლოცეთ და ის წადათო". ჩვენც დავლოცეთ, დაგვლოცეს და გაუდექით გზას.

მივედით სოფელ ვაყაში, სადაც 200 კომლამდე ხალხი ცხოვრობს. აქ ვინახულეთ ამ სოფლის ხელმძღვანელები მარქარა ხიტაროვი და სხვ., რომლებსაც დავავალეთ 7 მაისს მოეწვია კრება ჯარისკაცების და სხვებისაც ვაყაში და გომში. სხვათა შორის, გამოვკითხე: რა მიზეზი იყო, რომ მიწის მიმღები კომისია არ შეუშვიათ ს. ნაბახტევში. ამაზე მიპასუხეს შემდეგი: როდესაც კომისია მოვიდა, პირველათ ამ სოფელში მივიდა და, რადგანაც პროვოკაციული ხმები იყო გავრცელებული, რომ ვითომც კომისია თავადებს ურიგებს მიწას, ამიტომ სთქვეს: ჯერ სხვა სოფელში მიდით და თუ ისინი მიგიღებენ, მერე ჩვენც მიგიღებთო. ვაყაში პირიქით გვიხვეწებოდენ—ჩამოართვით შემამულეს მიწაო. ჩვენც ასე მოვიქეცით. ამის შემდეგ წავედით სოფ. ნაბახტევში.

ბოლოსრამა დღეს სალამოს მოვედით ხაშურში. 6 მაისს დავნიშნეთ კრება მოხსენების გასაკეთებლათ, მაგრამ ხალხი არ გამოცხადდა. 8 მაისს შესდგა გვარდიელების კრება, რომელზედაც არჩეულ იქნა გვარდიის ფლობსი წევრებისაგან გამწვენილი კომისია. უნდა აქვე აღინიშნოს, რომ მიხაილოვის სახელოსნო გვარდიაში შეპარულა ფლობსი პირები.

9 მაისს შეიკრიბა კომისია, სადაც გააკეთა მოხსენება სხვადასხვა მხრიდან ამხანაგებმა, მაგრამ სამწუხაროთ იმ სოფლებიდან, სადაც ხალხი წინეთ შეგვპირდა: მაღალ., ალი, ბრილი, მოხისი და წაღვლი, ყველა უარი ვუთქვამთ: „თუ საჭიროა, მთავრობამ გამოგზავნოს ძალა და ისე წაგვიყვანოს, თორემ ნებით არავის არ უნდა სიკვდილიო".

ავლევის საზოგადოებიდან საწუხაროს, მაგრამ საყურადღებო მოხსენებას აკეთებს მ. კვალიაშვილი, რომელიც ამბობს: ავლევის კომისარმა გადმოიცა, თავს უშველეთ თორემ მოგკლავენ. ვიდრე ვასო ლილუაშვილი და ფედორ ჯუკოვი ჩამოვიდა თფილისიდან, იწვევენ მთავრობის წინააღმდეგ პროვოკაციულ აგიტაციას და მთლად მოსწამლეს საზოგადოება. სხვათა შორის, მეც მქონდა ლაპარაკი გლეხებში და მითხრეს: „ჩვენ „ბოლშევიკები" რომ ვართ, ვერ გაიგეთ? არ ვემორჩილებით თქვენს მთავრობასო". ცხინვალში რომ ამბები მოხდა, იმის გამო ხალხისათვის ხორცის ჭამა აუკრძალავთ. გაუწერიათ ხალხზე, უმთავრესათ, ოსებზე, 50 მანეთი თითო კაცზე და უთქვამთ: ამას გახდევინებთ იმიტომ, რომ სხვადასხვა საქმეები უნდა მოვაწყოთ. კავკავიდან სურსათი და დამხმარე ხალხი უნდა გადმოვიყვანოთ და ახლო მომავალში, როდესაც გვარდიელები გავლენ, ცხინვალი, საჩხერე და სხვ. სოფლებიც უნდა ავიღოთო.

მივედით სოფელ კრისისხევში. აქ 8 მაისს დღეობა იყო და მთელი სოფელი თითქმის ერთად აღტაცებული დროს. მშვენიერად ამწვანებულ მდელოზე ბუჩქების ჩრდილში იმის თოფების სროლა და ლაღად-ხმიანის ხმა, ჩვენც მივუახლოვდით. მდგომარეობის გაცნობისთანავე ყველამ ერთხმათ შეგვძახა—„ჩვენც თქვენთან ვართ, ნუ გეშინიათო". ვიღაც კოსტა გასაძნაშვილმა დაიწყო ბოლშევიკების მართლება ამიერ-კავკასიის მთავრობის ლანძღვა, მაგრამ თვით ხალხმა შეაჩერა „დღეს მაგის დრო არა გვაქვს, მტერი კარზეა მომდგარი, ყველა უნდა გავიდეთო" და ჩვენც გამოვემშვიდობეთ მათ ..

მივედით სოფელ ხელებში, სადაც ვინახულეთ ხცისის საზოგადოების კომისარი ილია ბეგოშვილი. გავაცანით ჩვენი მიზანი იმ სოფლებში, სადაც ჩვენ ამ ღამეს ვერ მივასწრებდით, გაგზავნა მილიციონერების ხელით მოწოდება და ყველა ჯარისკაცები დაიბარა ხაშურში ცხრა მაისისათვის. გავემგზავრეთ სოფლებში. დავიარეთ შემდეგი სოფლები: ხელები, პატარა ხელები, ნარუჯები, ლუდა, პატარა ლუდა, ჯვართ მუხა, თაგვეთი და შვლის ყურა. მოწოდებები დავგზავნეთ. რეგბონა, კოდის წყარო, ქაშვეთი, თხილნარა, ალექსანდრეს წყარო, ღართა და სათიბებში—სადაც მოწოდებები გავგზავნეთ იქიდან ჯერ არ მიგვიღია ცნობა. მხოლოდ, სადაც ჩვენ დავიარეთ შეგვპირდენ, და მართლაც გამოვიდა ხალხი, მხოლოდ უიარაღო ჯარის კაცები, რომლებსაც მადლობით მივესალმეთ და უთხარით, რომ იარაღები რაც აქ იყო ყველა დაურიგებიათ და საჭიროების დროს იმედი გვექნება, რომ ასე პირნათლად შეასრულებთ მოწოდებასო.

უნდა სიამოვნებით აღინიშნოს, რომ მთელ ქართლში ყველაზე შეგნებული ჯარისკაცები აღმოჩნდა სოფ. ქვიშხეთში. აქ ამის დამამტკიცებელია ის, რომ 10 მაისს 80 შეიარაღებული კაცი გამოცხადდა ხაშურში.

ამავე დღეს მოვიდენ გომიდან და სოფ. ვაყიდან და აზარმელიდან 40 ვინტოვკით შეიარაღებული ჯარისკაცები, რომლებიც ისე მხიარულათ მიდიოდენ ბრძოლის ველზე, გეგონებოდათ საქეიფოთ მიდიანო და ლაჩარსაც კი საბრძოლველათ აუტოკებდა გულს მათი შეხედულება-გამომეტყველება და სიმკვირცხლე. აზარმელებს ხუთი დღის საგზალიც თან მიქონდათ. ეს ჩვენ არ ვიცოდით და როდესაც სადილზე. მივიწოდეთ გვიპასუხეს: გმადლობთ, მხოლოდ ჩვენ ბრძოლის ველისკენ გაგვიშვით და ის იქნება ჩვენი სადილობაო. მიწის კანონი როდესაც განვმარტეთ, წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია, მხოლოდ ხცისის საზოგადოებაში ერთი საპატიო არჩეული გლეხი ამბობს—„წვრილ აზნაურებს თუ 14 დღის ე. ი. 7 დესეტინა მიწა დაუტოვეთ, მაშინ ჩვენ ალარაფერი არ დაგვრჩებაო". მაგალითებ მიტუშა აბაშიძეს, რომ დაუტოვო ამდენი ეს კანონიერი იქნება, რადგანაც იმის ათასი დღიური ექნებაო". ეს მარტო ამ გლეხის აზრი კი არა, მთელი ამ საზოგადოების აზრია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყოფილ ჯარის კაცებს ისეთი წარმოდგენა აქვთ გვარდიელებზე, თითქოს ეს გვარდია თავად-აზნაურობის შედგენილი იყოს და მათ ინტერესებს იცავდეს. ამ პროვოკაციულ ხმებს ცხადია „ბოლშევიზმი"-ს დროშის ქვეშ ამოფარებული პროვოკატორები ავრცელებენ, მაგრამ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომელ სოფელშიც კი მივედი და ვისაც არ ველაპარაკე, ყველა მეთანხმებოდა იმაში, რომ ფრონტის გაშიშვლება, ეს უმთავრესათ ბოლშევიკების აგიტაციის წყალობით მოხდა. ჩემთან იყო ყოფილი ტერორისტი „პაპა", რომელსაც გლეხობაში დიდი სახელი ქონია განთქმული ზოგიერთ სოფლებში, რომ გაიგეს პაპა მოსულაო, ღრმა მოხუცებული ქალი და კაციც კი მოვიდა მის სანახავად სოფ. წაღვლში და საერთოთ კი, როდესაც გაიგეს, რომ პაპაც წითელ გვარდიელი ყოფილა, ერთმანეთს უჩზნებოდენ, ყოფილი ჯარისკაცები: „იცი ბიჭო! პაპაც წითელ გვარდიაში ყოფილა—და ახლა კი მჯერა, რომ „ქნიაზები" მაგას ვერ მოიყიდიან, რვა წელიწადი კატორღაშიც კი იყო და ახლა კი მჯერა, რომ მართლა პროვოკატორები ყოფილა ვინც გვარდიელების წინააღმდეგ გვამხედრებს. არა ძმაო, სადაც პაპა დაიღუპება იქ უნდა დავიღუპოთ ჩვენცო". უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მტრების გაზეთებმა უკულმა გაიგეს ჩვენს გაზეთში გამოთქმული ზოგ კორესპონდენტების აზრი—პროპაგანდის დრომ განვლოვო. ქართლში მოგზაურობამ დამარწმუნა, რომ არას დროს ისე საჭირო არ ყოფილა პროპაგანდა, როგორც დღეს არის. მხოლოდ პროპაგანდასთან ერთად მართლა სასტიკი ზომები უნდა მივიღოთ სხვადასხვა ჯურის პროვოკატორების წინააღმდეგ.

ი. ყაჭეიშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ქ. ოზურგეთის და მის რაიონის ჟურნალ-გაზეთების ხელის მომწერთა საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ ვისაც აპრილის ფული შემოტანილი ჰქონდა წინდაწინ ჩემთან და გაზეთები არ აქვთ მიღებული, მტერის შემოსევის გამო, ისინი მიიღებენ გაზეთებს ოზურგეთში შესვლისთანავე. თვარა-და მდგომარეობათა გამორკვევისათანავე ფულს.

ქ. ოზურგეთის ჟურნალ-გაზეთების აგენტი მ. ზ. თალაკვაძე.

## ცნობები

პოდპორუჩიკი პარმენ ფილიპეს-ძე ბოჭორიშვილი მსახურებდა რუმინიის ფრონტზე ამ მისამართით: Отдѣльная Балтійская морская дивизія, 1-ый полкъ. ხუთი თვეა რაც მის შესახებ არაფერი ვიცით. ვთხოვთ ვინც იცით რაიმე მის შესახებ შეგვატყობინოთ შემდეგი მისამართით: ქ. ქუთაისი, რუბანის ქუჩა ილარიონ თედორეს ძე ვაჩიბერიძე.



### ვასო ქავთარაძეს

მაცნობეთ თქვენი ადრესი დაუყონებლივ.

ვარდენ ჩხაიძე.

---

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სი. ი...ისი ანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

---

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

---

ექიმი ბ. დონხინი

ყოფილ იასისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილების ავადმყოფებს დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

---

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

---

დ სახსურებში ექიმის თანაშემწე ვ. ბ. ლაშხი იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშაგს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ზაბარაშვილ-ლაშხი ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

---

ექიმი ვ. ბ. ვაჩნაძე

[illegible] იღებს ავათმყოფებს [illegible] 3—5 საა. [illegible] № 19

---

ექიმი ვ. მ. რუხაძე

იღებს სილოსტატიკური ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: [illegible] № 87; [illegible] ტელ. № 5—77

---

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე.
გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

---

ექიმი მ. ვ. კედიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში ? იღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

---

ექიმი კ. ი. ზვაჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.

ჭერნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელ. 15—00

---

ექიმი დ. ი. ჟორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა [illegible] ქ. № 8 (დიდუბე). ტელეფონი 14—37.

---

ექიმი ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

---

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან სახავშვო, საშვებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასო [illegible] ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

---

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო სააკაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და აძლევს ხანგრძლივ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი წესებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქუჩა, სახლი № [illegible] ტელ. № 3—97.

---

### თფ. ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დრ. საბჭო

კვირას 19 მაისს, დილის 10 საათზე ქართული კლუბის დარბაზში იწვევს ყველა თფილისის ქართველ ვაჭრებს და მრეწველთ

### საზოგადო კრებაზე.

დღის წესრიგი: 1) შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც დამტკიცებულია. 2) არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა.

კავშირის წევრად ჩაწერა შეიძლება იქვე საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ წევრთან.

---

თფ. ქართველ ვაჭართა და მრეწველთა დრ. საბჭო

ამით აცხადებს ქართველ ვაჭართა და მრეწველთა საყურადღებოთ, რომ თანახმად ქართველ ვაჭარ-მრეწველთა 12 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა მათ ეძლევათ ერთი კვირის ვადა იმ ფულის შემოსატანად, რომელიც მათზეა გაწერილი

### საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ.

ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შემოიტანს ფულს მათი სახელი და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული, ხოლო ვიზედაც არც ეს ზომა იქონიებს გავლენას მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი იძულებითი ზომები. 4—3

---

კვირას 19 მაისს, საღამოს 6 საათზე გაიხსნება პროფ. კავშირთა

### პირველი მუშათა კლუბი

(მიხეილის პროსპ. 65, ექ. კარაპეტიანცის სახლი)

1. ლექცია: მუშათა კლუბი და პროლეტარული კულტურა, მისალმებანი რევოლიუციონურ სოციალისტურ ორგანიზაციებისაგან:
2. ინტერნაციონალური სპექტაკ.
3. კინემატოგრაფი, სამ. ორკესტ.

კლუბის წევრები—უფასოთ, სტუმრები იხდიან 1 მან. 2—1

---

ე. ნ. მისტროვის სახელობის სასადილო

### „სოიუზ-კოოპეიკის"

საზოგადოებისა გაიხსნება 23 მაისს ახალი სტილით გრიბოედოვის ქუჩა № 7.
სადილი გაიცემა დღის 1 ნახ. საათიდან 4 ნახ. საათამდე, ღირება (2 თავი) 3 მ. 50 კაპ.

---

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს

### პირველი მუშათა კლუბი

(მიხეილის პროსპექტი, № 65, ექიმ კარაპეტიანცის სახლი).

ამხანაგებო, პროფესიონალურ კავშირის წევრებო! ჩაეწერეთ თქვენს კლუბში!
მიიღეთ აქტიური მონაწილეობა მის მუშაობაში. მუშათა კლუბის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით მუშები მიიღებენ მასში ახლო მონაწილეობას.
წევრების ჩაწერა სწარმოებს ყველა კავშირებში და აგრეთვე თვით კლუბში.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კლუბის კომისია.

---

### კახეთის კავშირი

კოოპერატიულ დაწესებულებათა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ რწმუნებულთა

### წლიური კრება

დანიშნულია 20 მაისისათვის (ახალი სტილით) ქ. თელავში. 3—3